პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 163 (14767)

14 ივლისი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიხსნება სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია



# საინფორმაციო ცნობა

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1970 წლის 13 ივლისს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობის მოწვევის საკითხი.

ამ საკითხზე პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის საკითხები.

# სკკპ მორიგი XXIV ყრილობის მოწვევის შესახებ

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1970 წლის 13 ივლისის დადგენილება

1. სკკპ მორიგი XXIV ყრილობა მოწვეულ იქნას 1971 წლის მარტში.
2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი.

2) სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. თ. სიზოვი.

3) სკკპ XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი.

4) პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

3. დაწესდეს სკკპ XXIV ყრილობაზე წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით 2900 პარტიის წევრისაგან და ერთი დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით 2900 პარტიის წევრობის კანდიდატისაგან.

4. სკკპ XXIV ყრილობის დელეგატები აირჩევიან პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე. უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომპარტიებისაგან სკკპ ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები მოეწყობა საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

კომუნისტები, რომლებიც შედიან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში, სკკპ XXIV ყრილობის დელეგატებს ირჩევენ შესაბამის ტერიტორიულ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტიულ კონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე.

კომუნისტები, რომლებიც შედიან საზღვარგარეთ მყოფ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში, პარტიის XXIV ყრილობის დელეგატებს ირჩევენ შესაბამისი ჯარის შენაერთების პარტიულ კონფერენციებზე.

# ძმური კავშირის ძალა

ახლა, როგორც არასდროს, მტკიცეა ჩვენი საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა. ქალაქისა და სოფლის მშრომელების, ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკების, საბჭოთა ქვეყნის ყველა მოძმე ხალხის მონოლითური ერთიანობა ახალი ძალით გამოვლინდა ერთსულოვანი კენჭისყრით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ არჩევნებში, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა სრული და ერთსულოვანი მოწონებით.

საბჭოთა ხალხის სულ უფრო მტკიცე ერთიანობის ბირთვს შეადგენს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის ურღვევი კავშირი ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით. კომუნისტური მშენებლობის გზაზე წინსვლის ყოველ ნაბიჯზე სულ უფრო სრულად ვლინდება ამ ძმური კავშირის საარსებო ძლიერება. კომუნისტთა პარტიის მიერ რევოლუციური ბრძოლისა და ალმშენებლობითი შრომის ბრძმედში გამოწრთობილი ეს ძმური კავშირი იყო და არის ჩვენი სოციალისტური წყობილების ურყევი საფუძველი.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა გვიანდერძა წმიდად დავიცვათ და განვამტკიცოთ მუშათა და გლეხთა კავშირი როგორც საბჭოთა ხელისუფლების მთავარი ძალა და ბურჯი. როცა პარტია ამუშავებს და ახორციელებს თავის პოლიტიკას ეკონომიური, კულტურული, სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, იგი მუდამ განუხრელად იცავს ლენინის ამ ანდერძს.

მუშათა კლასისა და გლეხობის მეგობრობისა და თანამშრომლობის, მთელი საბჭოთა ხალხის ერთიანობის ცოცხალი განსახიერებაა ჩვენი საბჭოები — სახელმწიფო ხელისუფლების ნამდვილი სახალხო ორგანოები. საკმარისია ითქვას, რომ სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაშია 481 მუშა, ანუ 31,7 პროცენტი, 282 კოლმეურნე, ანუ 18,6 პროცენტი, სულ მუშები და კოლმეურნეები — 763, ანუ 50,3 პროცენტი.

მეგობარი კლასების კავშირში წამყვანი როლი სამართლიანად ეკუთვნის ჩვენს გმირ მუშათა კლასს, როგორც საზოგადოების ყველაზე მოწინავე, ყველაზე ორგანიზებულ ნაწილს. მისი დახმარებით გლეხობა გვევლინება აქტიურ ძალად კომუნიზმის მშენებლობაში; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, სოფლის ცხოვრების მთელი წყობის, სოციალისტურ გარდაქმნაში. სოციალისტური სოფლის მეურნეობის ხელახალი ტექნიკური აღჭურვა მტკიცედ არის დაკავშირებული ინდუსტრიის მუშაკთა სასახელო საქმეებთან. ნაყოფიერად და თავდადებით შრომობენ მუშათა კლასის ისეთი რაზმები, როგორიც არიან ვოლგოგრადის, ხარკოვისა და ჩელიაბინსკის სატრაქტორო ქარხნების, როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების ქარხნის, კრასნოიარსკის კომბაინის, ვლადიმირის სამოტორო ქარხნისა და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სხვა უდიდეს საწარმოთა კოლექტივები. სოფლის მეურნეობის ქიმიზაციის საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ კომბინატ „აპატიტის", ვოსკრესენსკის, სევეროდონეცკის, სოლიგორსკისა და სხვა ქიმიური კომბინატებისა და ქარხნების კოლექტივებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობა დამოკიდებულია მისი ტექნიკური აღჭურვილობის, ქიმიზაციისა და მელიორაციის მკვეთრ ამაღლებაზე. ამრიგად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მანქანების, მექანიზმებისა და მინერალური სასუქების წარმოების ტემპების დაჩქარებას, მათი ხარისხის გაუმჯობესებას. ეს ახალ მოთხოვნებს უყენებს სოციალისტური ინდუსტრიის მშრომელებს.

როგორც პარტიულ ორგანიზაციებსა და საწარმოო კოლექტივებში პლენუმის გადაწყვეტილებათა განხილვა მოწმობს, მუშებსა და სპეციალისტებს, უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის, ქიმიური ინდუსტრიის მუშაკებს, კარგად აქვთ შეგნებული, რომ ისინი პასუხს აგებენ თავიანთ დარგში არა მარტო მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევათა დანერგვისათვის, არამედ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების ინდუსტრიულ მეთოდებსა და ფორმებზე მათი სრული გადაყვანისათვის.

„დავეხმაროთ მინდვრებისა და ფერმების მუშაკებს მიაღწიონ ახალ მიჯნებს, მივცეთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეტი ტრაქტორი, კომბაინი, სხვადასხვა თანამედროვე ტექნიკა და მინერალური სასუქები" — ასეთი ლოზუნგით ჩაღდება სამრეწველო საწარმოებში მასობრივი მოძრაობა სოფლის მეურნეობისათვის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად. ტრაქტორმშენებელთა, კომბაინმშენებელთა, ქიმიკოსთა ბევრმა კოლექტივმა გადაწყვიტა ვადამდე დაამთავროს ხუთწლედი. მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, სვერდლოვსკისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშებმა შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს, როცა იკისრეს კონკრეტული ვალდებულებანი ყოველმხრივ დაეხმარონ სოფელს. ახლა, ამ გახურებული ალოობის დროს, ეს დახმარება სულ უფრო ფართო მასშტაბებსა და ქმედითობას იძენს. ქალაქის პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან თავიანთ მუდმივ კონტროლს დაუქვემდებარონ სოფლის მეურნეობისათვის შეკვეთების დროული შესრულება, სათავეში ჩაუდგნენ სოფლისათვის მანქანებისა და მოწყობილობის, სასუქების, საშენი და სხვა მასალების მიწოდების გადიდების დამატებითი რეზერვების ძიებას, აქტიურად შეუწყონ ხელი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში უახლესი ტექნიკის დანერგვას.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის საწარმოო დახმარების გაძლიერებასთან ერთად ვითარდება, მტკიცდება სხვადასხვაგვარი პოლიტიკური და კულტურული კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის, მუშათა კლასსა და კოლმეურნე გლეხობას შორის. ამ დღეებში გაიმართა საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმი, რომელმაც განიხილა პროფკავშირთა ამოცანები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. პლენუმმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს საშეფო მუშაობა.

პარტიის ზრუნვა, მუშათა კლასის აქტიური მხარდაჭერა უდიდეს შრომითს აღმავლობას იწვევს საბჭოთა გლეხობაში. საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ყველა დარგის ზრდის ისეთ ტემპებს, რომ სრულად დააკმაყოფილონ კვების პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებანი, ხოლო მრეწველობისა — ნედლეულზე.

აღნიშნა რა იმ ღონისძიებათა დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა, რომლებსაც პარტია სოფლის მეურნეობის დარგში ახორციელებს, ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ხაზი გაუსვა, რომ ეს ღონისძიებანი, უეჭველია, ხელს შეუწყობენ საკოლმეურნეო წყობილებისა და საბჭოთა მეურნეობების შემდგომ განმტკიცებას, პრინციპული მნიშვნელობა ექნებათ მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცებისათვის, ხელს შეუწყობენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს. სოფლის მეურნეობის თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მისი ტექნიკური ხელახალი აღჭურვა, რაც პარტიამ დასახა, კიდევ უფრო დააახლოებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს, დააჩქარებს მათი ცხოვრების დონის სხვაობათა ლიკვიდაციის პროცესს. პარტია რაზმავს მთელი ხალხის ძალებს, რათა გადაწყვიტოს ეს საპროგრამო სოციალურ-პოლიტიკური ამოცანა. იგი კიდევ უფრო მჭიდროდ აკავშირებს ქალაქისა და სოფლის მილიონობით მშრომელს ეკონომიკისა და კულტურის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის საერთო ბრძოლაში.

ურყევია საბჭოთა ხალხის ერთიანობა, ურღვევია მუშებისა და გლეხების კავშირი — ჩვენი საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოს ძლიერების საიმედო ბურჯი, კომუნიზმის მშენებლობაში შემდგომ გამარჯვებათა უტყუარი საწინდარი.

„პრავდის" 13 ივლისის მოწინავე.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

13 ივლისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

სხდომაზე განიხილეს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის დღის წესრიგთან და მუშაობის წესთან. ეს სესია იხსნება 14 ივლისს.

შესაბამისი წინადადებანი პრეზიდიუმმა გადასცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ შეიტანეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. ეს კანონპროექტი მუშავდება მთელი რიგი წლების მანძილზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივი კომისიების მონაწილეობით. საფუძვლების პროექტის საბოლოო დამუშავება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით დაამთავრეს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის, ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების, აგრეთვე ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებმა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებს. პრეზიდიუმმა ურჩია კომისიებს განიხილონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი და წარუდგინონ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს თავისი წინადადებანი ამ საკითხზე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა ამა წლის 7 ივლისს ბუქარესტში ხელმოწერილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა სარატიფიკაციოდ, დასკვნისათვის გადაეცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებს, რის შემდეგაც განიხილონ იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. (საქტასი).



სურათზე: მოსკოვი, სსრ კავშირის მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე ჩამოსული დეპუტატების ჯგუფი საქართველოდან. მარცხნივ — მ. სვანიძერაშვილი, რ. სოკურაშვილი, გ. ოზოლაძე, ნ. მამესწარაშვილი, ზ. სარალიძე, მ. ტატურაშვილი, მ. ვახტანგაძე.

ფოტო მ. ეგოროვისა და მ. ხოზოლევისა.

სურათი გადაღებულია სპეციალურად „კომუნისტისათვის". (საქტასი. მიღებულია საქტასის ფოტოტელეგრაფით).

დირექტორის ტრიბუნა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში

# შრომა, ანაზღაურება, დასვენება

**დიღომი. „საქსოფლტექნიკის" კომუნისტური შრომის საცდელი სარემონტო-მექანიკური ქარხანა. ამ მისამართზე მრავალი შეკვეთა მოდის ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. მომხმარებლები ითხოვენ ავტომობილებისა და ტრაქტორების ძრავების კაპიტალურ შეკეთებას, სათადარიგო ნაწილებს სოფლის ტექნიკისათვის. შემკეთებლები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან ყოველ შეკვეთას. დღითიდღე ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, უნარიანად იყენებენ ახალი ეკონომიური რეფორმის სიკეთეს, ამდიდრებენ სტიმულირების ფონდებს. ახლებურად მუშაობის მანძილზე შემკეთებლებმა ფართო ნაბიჯი გადადგეს პროგრესის გზაზე. მეტი სტიმული მიეცა თვითეული მუშის შრომას, გაუმჯობესდა მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საცხოვრებელი პირობები, გაიზარდა ანაზღაურება, შემოღებულ იქნა უფასო სადილები.**

**ქარხნის კოლექტივი გულდასმით გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის მასალებს. დაისახა გზები ძრავების შეკეთების ხარისხის გაუმჯობესებისა და სათადარიგო ნაწილების გამოშვების გადიდებისათვის.**

**თუ რას მიაღწიეს შემკეთებლებმა და რის გაკეთებას აპირებენ, ამის შესახებ მოგვითხრობს ქარხნის დირექტორი ამ სტატიაში.**

რამდენიმე წელია, რაც ჩვენი ქარხანა არსებობს. მანამდე იგი სასწავლო სახელოსნო იყო. მოკლე ხანში ჩვენი კოლექტივის თავდადებული შრომით იგი მოწინავე საწარმოდ გადაიქცა და სამჯერ გაზარდა პროდუქციის მოცულობა. ეს ჩვენთვის საამაყოა და ბევრს გვავალებს, რადგან სახალხო მეურნეობის ისეთ უბანს ვემსახურებით, სადაც სულ უფრო მეტად არის საჭირო ტექნიკა. სოფელი გამძლე, საიმედო მანქანებს საჭიროებს, და ჩვენც მოწოდებული ვართ უნაკლოდ შევასრულოთ სოფლის სახელოვან მშრომელთა ყველა შეკვეთა.

ახლა ქარხნის საამქროებში ვაწარმოებთ ავტომობილებისა და ტრაქტორების ძრავების კაპიტალურ შეკეთებას, ვამზადებთ დიდძალ სათადარიგო ნაწილებს, რომლებიც რესპუბლიკის, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის მრავალ კუთხეში იგზავნება.

რა ამოცანები გადაჭრა კოლექტივმა მიმდინარე ხუთწლედში, როგორ შეძლო წარმოებაში დაენერგა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი მეთოდი, როგორი მაჩვენებლებით გაანაღდა ვალდებულებანი? ამ საკითხების ანალიზი ამჟამად სასარგებლო და მიზანშეწონილია, რადგან მათში, როგორც სარკეში, ისე ჩანს ჩვენი შრომის შედეგები, მიღწევებიც და ნაკლოვანებებიც. ამასთან უკვე გავლილია ხუთწლედის ოთხი წელი და ექვსი თვე, შეჯამებულია სოციალისტური შეჯიბრების შედეგები, გვაქვს ახალი ეკონომიური რეფორმით მუშაობის წელიწადნახევარზე მეტი ხნის გამოცდილება.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს შრომაში შემობრუნების პუნქტად 1968 წელი ითვლება, როცა წარმატებით დავამთავრეთ მოსამზადებელი პერიოდი და საწარმო გადავიყვანეთ სამეურნეო ანგარიშზე. ეს არც არის გასაკვირველი. ახლებურად მუშაობით ამოქმედდა მატერიალური სტიმულები, გამოიძებნა რეზერვები ნაკლები ცუშახელით მეტი პროდუქციის გამოშვებისათვის.

მაგრამ ზოგადად როგორაც უნდა დავახასიათოთ ჩვენი მუშაობა, ჭაინც ვერ დავინახავთ იმ გზებს, რითაც საწარმოს კოლექტივმა მოწინავის საპატიო სახელი დაიმსახურა. პირველი და მთავარი ღონისძიებანი, რომლებიც ჩვენმა კოლექტივმა ახლებურად მუშაობის პირველ წელს განახორციელა, წარმოებაში ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვა იყო. რეკონსტრუქცია განიცადეს საამქროებმა, ბევრი ახალი ჩარხი და დანადგარი შემატა მათს ტექნიკურ ბაზას, გაუმჯობესდა ძრავების შეკეთების, სათადარიგო ნაწილების დამზადების პროცესების მექანიზაცია, რამაც, ბუნებრივია, დადებითად იმოქმედა შრომის ნაყოფიერებაზე (ორჯერ და მეტად აამაღლა იგი), გააუმჯობესა პროდუქციის ხარისხი, სამჯერ გაზარდა პროდუქციის მოცულობა. ცხადია, უკეთესად ვამარაგებთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სრულყოფილი ძრავებითა და სათადარიგო ნაწილებით.

აი ამის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი: 1965 წელს ქარხანამ გამოუშვა 790 ათასი მანეთის პროდუქცია, 1968 წელს — მილიონ 400 ათასი მანეთისა, ხოლო 1969 წელს მომხმარებელს გაეგზავნა მილიონ 631 ათასი მანეთის პროდუქცია. თუ 1965 წელს ჩვენმა საწარმომ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მხოლოდ 154 ათასი მანეთის სხვადასხვა ნაწილები დაამზადა, 1968 წელს ამ მაჩვენებლებმა 225 ათასი მანეთი შეადგინა; 1969 წელს კი ეს ციფრი 283 ათას მანეთამდე გაიზარდა.

პროდუქციის გამოშვების ზრდასთან ერთად ფართოვდებოდა მისი ასორტიმენტიც, ათვისებულ იქნა ცხრა დასახელების სათადარიგო ნაწილების გამოშვება. ყველა მათგანზე დიდი მოთხოვნილებაა სოფლის მეურნეობაში. შარშან სოფლის მექანიზატორებისათვის, სარემონტო საწარმოებისა და სახელოსნოებისათვის შესანიშნავი საჩუქარი მოამზადა ჩვენი საწარმოს კოლექტივმა. რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა საკუთარი ძალებით დაამზადეს ელექტროგამახურებელი დანადგარის საცდელი ნიმუში, რომელიც მეტად აადვილებს შეკეთების დროს ძრავების აწყობის ერთ-ერთ რთულ ოპერაციას. ეს დანადგარი შარშანვე მასობრივად გამოვუშვით და მასზე შეკვეთები ახლა ბევრი მოდის.

მარტო შარშან ქარხნის რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა წარმოებაში 30 მნიშვნელოვანი ღონისძიება დანერგეს, რითაც მიღებულია 26 ათასი მანეთი ეკონომია. მათს შორის აღსანიშნავია ტრაქტორების ზამბარების, ტრაქტორ „ს-100"-ის ურიკების, გაცვეთილ მუხლუხათა რგოლების აღდგენის ახალი მეთოდების დამუშავება, რომლებსაც დღეს წარმატებით ვიყენებთ ამ დეტალების დამზადების ტექნოლოგიაში.

საწარმოს მუშათა, ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა თავდადებამ ნაყოფი გამოიღო. მიღწეულ იქნა საწარმოო პროცესების სრული ავტომატიზაცია და მექანიზაცია. მიმღებ, საამწყობო, მექანიკურ საამქროებში სრული დატვირთვით ამუშავდნენ საქამულო და საზღვარგარეთული მარკების აგრეგატები, ნაკადური ხაზები.

შრომის პირობების გაუმჯობესებამ, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციამ და მექანიზაციამ სტიმული მისცა ქარხნის კოლექტივს. შრომა უფრო ეფექტური და მაღალნაყოფიერი გახდა. გაიზარდა მუშათა საშუალო ხელფასი. შეიქმნა მშრომელთა სტიმულირების ფონდი. 1969 წელს 1968 წელთან შედარებით საშუალო თვიური ხელფასი 9 პროცენტით გადიდდა, ამასთან დაცულია ეკონომიური რეფორმის მთავარი პრინციპი — ერთი მუშის შრომის ნაყოფიერების საშუალო თვიური მაჩვენებელი თითქმის 10 პროცენტით უსწრებს ერთი მუშის საშუალო თვიურ გამომუშავებას.

ჩვენი შემკეთებლები ამას რაციონალური შრომით აღწევენ. მუშების უმრავლესობა უნივერსალია. ისინი მაღალ ანაზღაურებას იღებენ და, როგორც წესი, ეძლევათ პრემიებიც. მაგალითად, მარტო შარშან პრემიების ფონდიდან მუშათა წასახალისებლად გაცემულია ათასობით მანეთი. საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მღარავმა გ. ქობულაშვილმა გასულ წელს პრემიების სახით 300 მანეთი მიიღო, ხარატმა მ. ვაჩეიშვილმა — 350 მანეთი.

საწარმოს ადმინისტრაცია, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ მუშათა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების საქმეს. ამ მხრივაც კარგი მაჩვენებლები გვაქვს. ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა 80 პროცენტი საწარმოს ხარჯებით აგებულ ბინებში ცხოვრობს. ხუთწლედის პირველი ორი წლის მანძილზე ავაგეთ ორი საცხოვრებელი სახლი, შარშან მათ კიდევ ერთი სახლი მიემატა, მაგრამ მშრომელთა საცხოვრებელი პირობები ჯერ კიდევ მთლიანად არ არის დაკმაყოფილებული. ამიტომ შარშან სათანადო ფონდიდან საჭირო თანხა გადაირიცხა კიდევ ერთი სახლის ასაგებად.

მუშათა შრომისა და დასვენების პირობების გაუმჯობესება ქარხნის ადმინისტრაციის, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების განუხრელი ზრუნვის საგანია. გვაქვს საკუთარი კლუბი, მუშამოსამსახურეთა ბავშვებისათვის ქარხანასთან არსებობს საბავშვო ბაღი, მუშაობენ თვითმოქმედების კოლექტივები. მაგრამ ყოველივე ეს, შეიძლება ითქვას, მხოლოდ დასაწყისია. ეკონომიური რეფორმის სიკეთე ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოგვიყენებია. რეზერვები არის, მთავარია მისი ამოქმედება.

უკანასკნელ ხანს ერთი კარგი ღონისძიება განვახორციელეთ. ჩვენი ქარხნის 150 მუშა ყოველდღიურად უფასოდ სადილობს.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვას გრძნობენ შემკეთებლები. ამიტომ ამ ზრუნვას საქმით უპასუხებენ. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის საიუბილეოდ არის გაშლილი და თანდათანობით ფართოვდება, მუშათა შრომას ენთუზიაზმს მატებს. ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილ შეჯიბრებაში ჩვენმა კოლექტივმა უკვე მოიპოვა დიდი წარმატება. ქარხანას **კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდება მიენიჭა.**

ხუთწლედის საიუბილეო წელი კარგად დავიწყეთ. წარმატებით შესრულდა ექვსი თვის დავალება. ჩვენი პირობაა მიმდინარე წლის გეგმა 20 დეკემბრისათვის შევასრულოთ.

როგორც ვხედავთ, მიღწევები დიდია. მაგრამ ეს ერთი წუთითაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ კმაყოფილი ვიყოთ. ამაზე ნათლად მიგვითითებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, რომლებშიც ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია წამოჭრილი სოფლის მეურნეობის ტექნიკური შეიარაღების გაძლიერებისათვის. ამ საქმეში ჩვენ დიდი პასუხსაგები ამოცანები უნდა გადავჭრათ. ერთიორად უნდა გავადიდოთ ძრავების შეკეთება, სათადარიგო ნაწილების გამოშვება.

**მ. თევდორაშვილი,**
**„საქსოფლტექნიკის" დიღმის საცდელი სარემონტო-მექანიკური ქარხნის დირექტორი.**

# შენდება მეფრინველეთა ქალაქი

გორის რაიონში ხშირად შეხვდებით ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან ჩამოსულ მშრომელთა დელეგაციებს. მათი მიზანია ახლოდან ნახონ საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტების მშენებლობები, გაიზიარონ, შეისწავლონ ის დიდი გამოცდილება, რომლითაც ამ ბოლო წლებში თავი ისახელეს გორელებმა.

დელეგაციის წევრები ყოველთვის მოხიბლული რჩებიან, როცა ნახულობენ ტინისხიდის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სანაშენე ფერმას, ბოსტნეულის სასათბურე მეურნეობას, რომელსაც სამი ჰექტარი უჭირავს, მეფრინველეობის ფაბრიკას და სხვ.

მაგრამ ახლა თავისი გიგანტურობით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მეფრინველეობის სახელმწიფო ფაბრიკა, რომელსაც ჯერ კიდევ გასულ წელს მეჯვრისხევის მისადგომებში ჩაეყარა საძირკველი. აქ მხოლოდ ტრიალი მინდორი იყო. ოქტომბერში აქ მოვიდნენ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი და ფაბრიკის მშენებლობის მოსამზადებელ სამუშაოებს შეუდგნენ.

ასე დაიწყო მეფრინველეობის ქალაქის მშენებლობა. „თბილგვირაბმშენის" მშენებელთა დასახმარებლად მოვიდნენ გორის რაიონის მშრომელები. რომ იტყვიან, მშენებლობაზე ქუდზე კაცი გამოვიდა. მათ ერთიანი ძალით შეუტიეს ტრიალ მინდორს, რომელიც აქამდე ნებივრობდა. ტრაქტორების, ბულდოზერების, ამწეების ძლიერი ძრავების გუგუნთან ერთად გაისმოდა ადამიანების ომახიანი შეძახილები. ძალღონეს არ ზოგავდნენ გორის № 1 და № 2 ავტოსატრანსპორტო კანტორების მშრომელები. გაიმართა სოციალისტური შეჯიბრება. აქ იყვნენ რაიონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები. შენდებოდა ქალაქი, სადაც გათვალისწინებულია საცხოვრებელი სახლების, მაღაზიის, საბავშვო ბაღის, სასადილოს და სხვა ნაგებობათა მშენებლობა. ფაბრიკა ყოველწლიურად სამშობლოს მისცემს 42 მილიონ ცალ კვერცხს და 800 ტონა ფრინველის ხორცს.

მოვიდნენ და მადლიანი მარჯვენით თქვეს თავიანთი სიტყვა. მცირე დროში ათიოდე კილომეტრიდან მოჩანდა მეფრინველეობის ქალაქის კონტურები. კაცის მარჯვენამ, ერთსულოვნებამ, უნივერსალურმა მანქანებმა ის განაპირობა, რომ ფაბრიკის მშენებლებმა წლიური დავალება ექვს თვეში შეასრულეს. მათ აითვისეს ერთი მილიონ 16 ათასი მანეთი.

ფაბრიკის მშენებლები ყურადღებით გაეცნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებას და ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებას. მათ იკისრეს ახალი ვალდებულებები.

და აი მეფრინველეობის ქალაქის მშენებლები სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნასთან შეიკრიბნენ. აქ არიან აგრეთვე გორის რაიონის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები. ჩვენი რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელი ამხანაგები.

შეკრებაზე სიტყვები წარმოთქვეს ფაბრიკის მშენებლობის უფროსმა ი. რუხაძემ, მებეტონე გ. მჭედლოვმა, „თბილისგვირაბმშენის სამმართველოს უფროსმა ვ. გოცირიძემ, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა, რესპუბლიკის საავტომობილო გზების მინისტრმა გ. რობიტაშვილმა, „საქფრინველმრეწვის" ტრესტის მმართველმა ქ. კოზირიძემ, „სანტექმონტაჟის" № 22 უბნის უფროსმა ვ. სელიხოვმა, საქართველოს სასოფლო მშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა ვ. ჩხეიძემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „მთავარმომარაგების" უფროსმა მ. კოდუამ, რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის" თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ გ. სეხნიაშვილმა და პარტიის გორის რაიკომის პირველმა მდივანმა რ. ბზიშვილმა.



სიტყვებით გამოსულებმა ილაპარაკეს ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა და ივლისის პლენუმის დიდ მნიშვნელობაზე და პლენუმის დადგენილების განხორციელების აუცილებლობაზე. აქვე აღნიშნეს, რომ მეფრინველეობის ფაბრიკის მშენებელი ორგანიზაციები ყოველი ღონით უნდა ეცადონ, რომ ვადაზე ადრე დაიწყოს მისი ექსპლოატაცია.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს წერილი საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისადმი და იკისრეს, რომ 1971 წლისათვის საექსპლოატაციოდ გადასცემენ ფაბრიკის მთელ კომპლექსს, რაც იმას ნიშნავს, რომ ვადაზე ორი წლით ადრე შეასრულებენ პარტიის დავალებას.

**რ. ბასილაშვილი,**
**„კომუნისტის" საკ. კორ.**

* * *

სურათებზე: მეფრინველეობის ფაბრიკის მოწინავე მშენებლები: ზემოთ დურგლები ზ. ბიბილაშვილი (მარცხნიდან), ს. გინტური, ა. შასურაშვილი, ტ. ბიბილაშვილი და გ. სოყურაშვილი. ქვემოთ — ამწის მემანქანე ო. ყულიაშვილი.

ფოტო ვ. გენგიურისა.



სასკოლო მშენებლობა დამკვრელური უბანია

# რა გვაქვს, რა გვაკლია

ჭიათურაში ზრუნავენ სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის. აქ ყოველწლიურად შენდება ახალი სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები.

წელს მთავრდება ხალიფაურის საშუალო სკოლის მშენებლობა 520 მოსწავლისათვის, რგანის საშუალო სკოლის ახალი კორპუსი, რომლის საპროექტო ღირებულება 172 ათას მანეთს უდრის. შენდება აგრეთვე მიხელიძეებისა და სარქველეთუბნის დაწყებითი სკოლები, ბაგა-ბაღი ქალაქის ცენტრში.

მიშენებითი სამუშაოები უნდა შესრულდეს წასრის, მეჩხეთურის რვაწლიან სკოლებში, უნდა შეკეთდეს ქალაქის პირველი საშუალო, დარკვეთისა და დიდი კაცხის რვაწლიანი სკოლები, დამხმარე სკოლა-ინტერნატი, პიონერთა სასახლე. პროექტები მზად არის და მომავალ წელს დაიწყება ითხვისის საშუალო და თაბაგრების რვაწლიანი სკოლების მშენებლობა. წელს მარტო სასკოლო ინვენტარის შესაძენად დაიხარჯება 100 ათასი მანეთი.

უსამართლობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ჭიათურმშენისა და შახტმშენის ტრესტის ჭიათურის სამმართველოებმა ცუდად დაიწყეს ხალიფაურის საშუალო და მიხელიძეების დაწყებითი სკოლების მშენებლობა, მაგრამ ის ტემპი, რაც ახლა ხალიფაურის საშუალო სკოლის მშენებლობაზეა, საკმარისი როდია. უნდა დაჩქარდეს მშენებლობა, გადაჭრით გაუმჯობესდეს მშენებლობის ხარისხი.

— მშენებლობის ხარისხი საერთოდ დაბალია, ეს ჭიათურელ მშენებელთა სენია, — განაცხადა საუბარში ჭიათურის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგემ გ. ცხადიაშვილმა. ეს აზრი სკოლების დირექტორებმაც დაადასტურეს.

მართლაც, რით იმართლებენ თავს ზერეთისის საბავშვო ბაღის მშენებლები, როცა ახალ შენობაში იღბლად ბავშვები შესული არ იყვნენ და სამ დარბაზში ჭერი ჩამოინგრა. უხარისხობა შესამჩნევია ახალი სკოლების მშენებლობებზეც და სარემონტო სამუშაოებშიც.

ჭიანურდება საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა ქალაქის ცენტრში, და საბავშვო ბაღებისათვის გამოყოფილი შენობების რეკონსტრუქცია რგანში, მანდაეთსა და სვერში, რაშიც ბრალი მიუძღვით ჭიათურის მარგამშენის ტრესტის ბინათმშენებლობის სამმართველოს და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ჭიათურის სამშენებლო-სარემონტო უბანს. ამავე უბნის კოლექტივმა, რომელსაც, შ. გამეზარდაშვილი ხელმძღვანელობს, მეჩხეთურის სკოლაში უნდა შეასრულოს 10 ათასი მანეთის მიშენებითი სამუშაოები, მაგრამ ივლისი დაიწყო და მშენებლები სკოლაში არ მისულან, ჯერჯერობით იქ არაფერი გაკეთებულა.

სოფელ ქვედა უსახელოს რვაწლიანი სკოლის მშენებლობის პროექტი სამი წელია მზად არის. სკოლა მარგანტრესტის დაკვეთით მარგანმშენის ტრესტმა უნდა ააშენოს, მაგრამ ჯერ ქვა-ქვაზედაც არავის დაუდვია. სკოლა კი ერთობ ცუდ მდგომარეობაშია. განა დრო არ არის, რომ ქვედა უსახელოს სკოლის მშენებლობა დაიწყოს?

სასწრაფო რეკონსტრუქციას მოითხოვს ჩხოროულის, ზედა უსახელოს რვაწლიანი, საკურწისა და ჯოყოეთის დაწყებითი სკოლების შენობები. იქ ზამთარში სწავლება ერთობ გაძნელებულია. სათანადო ორგანოებმა უნდა იფიქრონ, რომ აღნიშნულ სკოლებში შეიქმნას სწავლის ნორმალური პირობები.

სასკოლო მშენებლობა-რემონტის ტემპი უნდა დაჩქარდეს, ხარისხი გადაჭრით ამაღლდეს, — ეს არის სადღეისო, გადაუდებელი ამოცანა.

**პ. ჭიოკაძე,**
**„კომუნისტის" საკ. კორ.**

## რაიკომი — სკოლის საკითხზე

**ცხაკაია. (საკ. კორ.). პარტიის რაიკომმა მოაწყო რაიონის სკოლების დირექტორების, ქალაქის და სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, შეფი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საკითხებზე.**

# კალოობა

სოფლად ახალი ძალით იგრძნობა საკოლმეურნეო ცხოვრების მაჯისცემა. მარნეულის რაიონის სოფლის მშრომელები გულდასმით ეცნობიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს. ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ აამოქმედონ გამოუყენებელი რეზერვები. დროზე, უდანაკარგოდ აიღონ პურეულისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი.

ახლა რაიონის მინდვრებში ალოობაა გაჩაღებული. ყოველდღე 100 კომბაინი მუშაობს. დღეში 700 ჰექტარზე მეტი პურეულის მოსავალი ილეწება. სახელმწიფოს ტონობით მაღალხარისხოვანი მარცვლეული ბარდება.

ყანის ქარვისფერ ზღვაში ლაღად მიცურავს თვითმავალი კომბაინი, რომელსაც ვ. სამხარაძე მართავს, და ხედერის უკან ფართო ზოლებად ტოვებს ნაწვერალს. ვ. სამხარაძე ყოველდღე გარიჟრაჟს ასწრებს წერეთლის საბჭოთა მეურნეობაში მინდვრად გასვლას. მოსავლის აღების დაწყებიდან ერთი წუთიც არ შეფერხებულა მისი მანქანა. კომბაინერმა ერთ დღეს ხორბალი აიღო 10 ჰექტარზე ნაცვლად 8 ჰექტარისა. ჰექტარზე მოსავალმა 35 ცენტნერს მიაღწია. 5 სამუშაო დღეში მექანიზატორმა 60 ჰექტარი პურეული მომკა. მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერი მარცვალი გაილეწა. შარშან ამის მხოლოდ მესამედი იყო.

მარნეულის საბჭოთა მეურნეობის ველ-მინდვრები ძირითადად სარწყავია. არის ყველა შესაძლებლობა, რომ მოიყვანონ მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვი მოსავალი. სამწუხაროდ, ამ შესაძლებლობას შარშან ვერ იყენებდნენ. სარწყავი წყალი ჰქონდათ, გვალვის გამო კი ნათესები ხმებოდა. შვიდი თვეა, რაც მეურნეობას სათავეში ჩაუდგა ა. გასანოვი და უკვე არის პირველი შედეგები. გეგმით 1.500 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე უნდა მიიღონ 16 ცენტნერი პურეული.

— მეურნეობის მხვნელ-მთესველთა სიბეჯითისა და სარწყავი წყლის გონივრულად გამოყენების შედეგია, რომ ხორბლის წლევანდლისოდენა მოსავალი არასოდეს არ მიუღია მარნეულელებს, — თქვა სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა ი. დარბაიძემ. მომკილმა ჰექტარებმა დაგვარწმუნა, რომ ჰექტარზე საშუალოდ 25 ცენტნერზე ნაკლები ხორბალი არ იქნება.

მეურნეობაში კარგად მოუწყვიათ მომკილი მარცვლის კალოზე გადაზიდვა. მანქანის მძღოლები ზ. კაჯიევი, ჯ. კალოევი, რ. იუსუბი კომბაინის ბუნკერიდან კალოსაკენ შეუფერხებლად ეზიდებიან მარცვლეულს, კარგად მოუწყვიათ მექანიზებული კალო. საწმენდი მანქანის მუშები ი. ასტანოღლი, ა. იბრაგიმოვი სწრაფად ახარისხებენ ახალ მოსავალს და სახელმწიფოს მაღალხარისხოვან მარცვლეულს აბარებენ. მარნეულელებმა სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 1.400 ტონა მარცვალი. გეგმა 1.120 ტონა იყო.

პურეულის უხვი მოსავლით ამაყობენ კასუმოვის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი გ. ნამაზოვი). კასუმოველები წელს რაიონში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორები არიან, და უნდა ითქვას, რომ პურეულის სიუხვეში სიტყვა საქმედ აქციეს. შარშანდელთან შედარებით ჰექტარზე საშუალოდ 15 ცენტნერით მეტი ხორბლის მოსავალი მიიღეს.

პურეულის მკა ორგანიზებულად მიმდინარეობს არაფლოს საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი მ. მამედოვი, პარტიული კომიტეტის მდივანი კ. კარაევი). აქ კარგად გამოიყენეს სარწყავი წყალი, სასუქი, ნათესებს არ დააკლეს აგროწესებით მოვლა, და შედეგიც საამაყოა. იმ ნაკვეთზე, სადაც კომბაინერები ე. ოსუფოვი, მ. ასტანოღლი, ქ. სუსხნიანი მუშაობენ, ჰექტარზე საშუალოდ 30 ცენტნერ ხორბალს იღებენ. ეს მოსავლიანობის გეგმას 12 ცენტნერით აღემატება.

არაფლოელები მარტო მკას როდი ჩქარობენ. მხვნელ-მთესველები თავიანთი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებასთან ერთად სწრაფი ტემპით აგროვებენ და ზვინავენ ნამჯას, ხნავენ, სანაწვერალო კულტურებს თესავენ. მექანიზატორი ა. შახნაზაროვი „ტ-75" მარკის ტრაქტორით და მთესავი ა. აბასოვი ნაწვერალზე თესავენ სიმინდს.

და ასეა რაიონის თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში წელს მარნეულში თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი ასაღებია 7.200 ჰექტარზე.

მოსავალმა მოლოდინს გადააჭარბა. მხვნელ-მთესველებს, სიუხვისაგან თავიანთი ნაამაგარის დაბინავება გაუჭირდათ. რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა სურვილი გამოთქვეს თავისუფალ დროს პურეულის მკასა და სხვა სამუშაოებში დახმარება გაეწიათ საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის. ამ ინიციატივას პარტიის რაიონულმა კომიტეტმა, რაისაბჭოს აღმასკომმა მხარი დაუჭირეს. მუშა-მოსამსახურეებისა და ახალგაზრდების დახმარებით მომკილია 1.600 ჰექტარამდე პურეული.

მისაბაძია მარნეულის ავტოსატრანსპორტო კანტორის (დირექტორი ნ. ენუქიძე) მუშაობა. ყოველდღე 80 მანქანა კალოდან მიმღებ პუნქტში ეზიდება ახალი მოსავლის პურეულს. კარგად მუშაობენ რაიკავშირის (თავმჯდომარე ო. მანაგაძე), ხილისა და ბოსტნეულის კანტორის (უფროსი ო. თავყელიშვილი), საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის საბჭოს (თავმჯდომარე მ. სალუქვაძე), საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის (უფროსი შ. ირემაშვილი) რაიონის წყალთა სასისტემო სამმართველოს (უფროსი ნ. ფალავანდიშვილი) მუშა-მოსამსახურეები.

მექანიზატორებისათვის და პურეულის მკაზე ყველა მომუშავესათვის შექმნილია მუშაობის ნორმალური პირობები. რაიონის მთავარი ექიმის გ. თორაქიშვილის ხელმძღვანელობით სპეციალურად გამოყოფილი არიან მედიცინის მუშაკები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში, მინდვრად მომუშავეებს ადგილზე უწევენ სამედიცინო დახმარებას. რაიკავშირმა სპეციალურად გამოჰყო მოძრავი ავტომანქანა, რომლის საშუალებით პურის მკელებს ადგილზე უგზავნიან მინერალურ წყლებს, ცხელ საჭმელს და აუცილებლად საჭირო პროდუქტებს.

პარტიის რაიონულ კომიტეტს სპეციალურად შეურჩევია აგიტატორები, პოლიტინფორმატორები, რომლებიც შესვენების დროს მკელებთან საუბრებს მართავენ. ჩვენ ერთ-ერთი საუბრის მოწმე გავხდით. არფალოს საბჭოთა მეურნეობაში აგიტატორი გ. მიხრალევი შესვენების დროს მუშებს ასე ესაუბრებოდა: — ხომ იცით, მოსავალი ის არის, რაც ბეღელშია. მით უმეტეს ახლა, როცა ჭირვეულმა ამინდმა ზოგან პურეულის ნათესები დააზარალა, გადარჩენილ ნაკვეთებზე მოსავლის აღება უნდა ჩავატაროთ სწრაფად, უდანაკარგოდ, სპეციალისტების დაკვირვებით ერთ კვადრატულ მეტრზე 5-6 თავთავის დაკარგვა ნიშნავს ჰექტარზე დაკარგო ორ ფუთზე მეტი ხორბალი.

მოსავლის აღებასთან ერთად განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სახელმწიფოსათვის მარცვლის მიყიდვას. მხვნელ-მთესველების პირობა იყო 15 ივლისამდე სახელმწიფოსათვის წლიური გეგმით მიეყიდათ 5.801 ტონა, ხოლო ვალდებულების ჩათვლით 7.000 ტონა ხორბალი. მარნეულელებმა სიტყვა არ გატეხეს. გეგმაც და ვალდებულებაც ექვსი დღით ადრე გაანაღდეს.

ახლა პურპროდუქტების ბაზისაკენ (დირექტორი ჯ. გელაშვილი) განუწყვეტლივ მიემართებიან მარცვლით დატვირთული ავტოკოლონები და ვალდებულების გადამეტებით აბარებენ სახელმწიფოს მაღალხარისხოვან ხორბალს. ვალდებულების გადამეტებით 1.000 ტონა მარცვლეული სახელმწიფოს — ასეთი დევიზით მუშაობენ ახლა მარნეულის რაიონის მშრომელები.

ხუთწლედის დამამთავრებელი წელი რაიონისათვის მარტო პურის სიუხვით როდია აღსანიშნავი. მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის მიზნით საუკეთესოდ მოუარეს სათიბებს. თივის პირველი აღება დიდი ხანია დაამთავრეს. შემდეგ სათიბები მორწყეს და ბალახმა საუცხოოდ გაიხარა. ახლა მეორეჯერ და ზოგან მესამეჯერ თიბავენ.

სახელმწიფოს უნდა მიეყიდოს ვალდებულების ჩათვლით 7.000 ტონა ხორბალი, ხოლო ბოსტნეული 11.200 ტონა, — გვითხრა პარტიის მარნეულის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა. მაგრამ ამას როდი დავჯერდებით სახელმწიფოს მივცემთ 8.000 ტონა პურეულის მარცვალს, 17.000 ტონა ბოსტნეულს.

როგორც მარნეულელთა ნაამაგარი გვიჩვენებს, ისინი სიტყვას საქმედ აქცევენ, სასახელო მაჩვენებლებით შეხვდებიან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს.

**შ. ჭოჭუა,**
**„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.**

* * *

სურათზე: მარნეულის რაიონის სოფელ წერეთლის საბჭოთა მეურნეობაში ხორბლის ხვავით ივსება ავტომანქანა...

ფოტო მ. თელიაშვილისა.



„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

## მომჭირნეობა ყველგან, ყველაფერში

გაზეთ „კომუნისტში" ამ სათაურით დაიბეჭდა მოწინავე წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის კოლექტივმა მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უყაირათო მუშაობის შედეგად გადახარჯა 284 ტონა პირობითი საწვავი.

ქარხნის დირექტორი ს. დოლიძე რედაქციას აცნობებს, რომ მოწინავე წერილში აღნიშნული ფაქტი სინამდვილეს შეეფერება. საწარმოს ყველა უბანზე დასახულ იქნა კონკრეტული ღონისძიებანი საწვავის მომჭირნეობით ხარჯვისათვის. მდგომარეობა გამოსწორდა. მიმდინარე წლის მარტო ხუთ თვეში დაზოგილია 1.903 ტონა პირობითი საწვავი.

იურიდიული ცოდნა მასებს

# ოჯახი და დანაშაული

ბავშვის აღზრდა, მისი ხასიათის ჩამოყალიბება ძირითადად ოჯახში, ოჯახურ გარემოში ხდება. ბავშვის ქცევა სკოლაში, საზოგადოებაში თავისებური ანარეკლია იმისა, რასაც იგი ყოველდღე ხედავს მშობლების ურთიერთდამოკიდებულებაში. საბჭოთა ოჯახის მორალური კოდექსი, რომელიც ეყრდნობა მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიულ კონსტიტუციას, ყველა პირობას ქმნის იმისათვის, რომ ჩვენი შვილები იზრდებოდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მშენებლებად, მოწინავე ადამიანებად.

მაგრამ სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქაიქ გვაქვს შემთხვევები, როცა მშობლები მოწოდების სიმაღლეზე ვერ დგანან. ოჯახში ცუდი ურთიერთდამოკიდებულება აქვთ, ისინი შვილების თანდასწრებით არ ერიდებიან ლანძღვა-გინებას და ფიზიკურ შეურაცყოფასაც კი. დრო გადის, მეუღლენი განაგრძობენ ერთად ცხოვრებას, მივიწყებას ეძლევა ის უსიამოვნო დღეები, მაგრამ მათი შვილების გონებიდან, მათი მეხსიერებიდან არ იშლება და ვერც წაიშლება ის საშინელი განცდები და შიში, რაც მათ აღიქვეს მშობელთა შორის უსიამოვნების დროს. ასეთი შემთხვევები სულიერ სამყაროს უმახინჯებს ბავშვებს, მათს შეგნებაში მშობლებმა, რომლებიც სათაყვანებელი იყვნენ, ნდობა დაკარგეს. შესაძლოა აქედანაც იწყებოდეს ზოგ შემთხვევაში ბავშვების ურჩობა მშობლების მიმართ. მშობელთა შორის ცუდ ურთიერთდამოკიდებულებას მოსდევს მათი ავტორიტეტის შელახვაც. სასამართლო პრაქტიკა ადასტურებს ზემოთ ნათქვამის სისწორეს, რადგან უმეტეს შემთხვევებში ის არასრულწლოვანნი არიან დამნაშავენი, რომელთაც არ სჯეროდათ მშობელთა დარიგებისა და ანგარიშს არ უწევდნენ არც მამის მკაცრ მითითებებს, არც დედის ხვეწნა-მუდარას.

ოჯახის დანგრევა დიდ ტრავმას აყენებს ბავშვებს, ამიტომ ჩვენი კანონმდებლობა სწორად მოითხოვს მართლმსაჯულებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახდინონ განქორწინება, როდესაც სასამართლო დარწმუნდება, რომ მხარეებს შორის ოჯახის აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ ამ შემთხვევაშიც მშობლები ვალდებული არიან არ აგრძნობინონ შვილებს თავიანთი ურთიერთდამოკიდებულება.

ამას წინათ სასამართლოში მოვიდა მოქალაქე ა. კიკნაძე და განაცხადა, რომ იგი თანხმობას ვერ მისცემს მეუღლესთან განქორწინებაზე მხოლოდ იმიტომ, რომ პატარა თენგიზი ძლიერ განიცდის მამის სახლიდან წასვლას და ყოველ დილით ტირის და მამას თხოულობს. თენგიზი ახლა ხუთი წლისაა, რამდენიმე წლის შემდეგ, თუ მამა მას საბოლოოდ დატოვებს და მისი მზრუნველობა მხოლოდ ალიმენტის გადახდით ამოიწურება, მას, რა თქმა უნდა, არ ექნება ის ახალგაზრდული ხალისი და სიამაყე, რასაც ჩვეულებრივ ბავშვები განიცდიან მამობრივი მზრუნველობით.

განა შეიძლება სიამაყის გრძნობით მოიგონოს 8 წლის მაია დვალმა მამა რევაზ გრიგოლის-ძე დვალი, რომელმაც ოჯახი მიატოვა და 1967 წლიდან არავითარ დახმარებას არ უწევს მას. მაია დედასთან ერთად ხშირად არის სასამართლოს აღმასრულებელთან და აცხადებს, რომ მისი მამა ინჟინერია და ალბათ არ იცის, რომ დედას უჭირს. რევაზმა ყველაფერი იცის, მაგრამ ალბათ არ იცის, რომ მალე წარსდგება სახალხო სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებს.

მშობელიც არის და მშობელიც. ერთნი ოჯახს ანგრევენ და ამით აყენებენ ტრავმას შვილებს, ხოლო სხვები ოჯახში არიან, მაგრამ არ ზრდიან შვილებს, როგორც ეს საჭიროა.

ამას წინათ ასეთი ამბავი მოხდა: არასრულწლოვანი ახალგაზრდები ფეხბურთს თამაშობდნენ. თამაშის დროს შელაპარაკება მოუხდათ მამედ კასოიანსა და გივი კანდელაკს. განაწყენებული კასოიანი წავიდა და მოიტანა ცეცხლსასროლი იარაღი. დაინახა დოლიძის ქუჩაზე, ხილბოსტანვაჭრობის ფარდულთან მდგარი გივი კანდელაკი და ესროლა მას. ტყვია ასცდა კანდელაკს. კასოიანს კიდევ უნდოდა ესროლა, მაგრამ მას ხელში სწვდა მოქალაქე დავით ფეიქრიშვილი და განაიარაღა დამნაშავე.

ამჟამად კასოიანი დასჯილია, მაგრამ ჩვენ ახლა დანაშაულის მეორე მხარე უფრო გვაინტერესებს. სად იშოვნა კასოიანმა ცეცხლსასროლი იარაღი? განაწყენებული კასოიანი წავიდა ფეხბურთის მოედნიდან თავის ნაცნობ არასრულწლოვან ალექსანდრე გიორგის-ძე შამყულაშვილთან, რომელიც ცხოვრობდა ბალანჩივაძის ქ. № 1-ში. მან იცოდა, რომ მის ამხანაგს იარაღი ჰქონდა. სთხოვა და მანაც ხათრი ვერ გაუტეხა.

მაგრამ ალექსანდრეს ხომ ჰყავს მშობლები — მამა გიორგი, ყოფილი სამხედრო პირი, რომელმაც იცის ცეცხლსასროლი იარაღის ძალა და დანიშნულება. მკითხველი სამართლიანად იკითხავს: ასეთმა მამამ რატომ მისცა საშუალება არასრულწლოვან შვილს სცოდნოდა — სად ინახებოდა მისი იარაღი? გიორგიმ აღნიშნულ კითხვაზე სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, იარაღი სამხედრო სამსახურიდან ჩამოვიტანე და სამზარეულოში ეგდოო. განა ეს არის მშობლის პასუხი? ასეთ მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ იარაღის დაუდევრად შენახვაც დანაშაულია და საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 239 მუხლით დამნაშავე მკაცრად ისჯება.

მაგრამ სასამართლო ჯერჯერობით ვერ სჯის ისეთ მშობლებს, რომელთა შვილებიც დანაშაულებრივ გზას დაადგნენ იმიტომ, რომ ვერ გრძნობდნენ მშობლიურ კონტროლს, ყურადღებას და ამიტომ უსაქმურობასა და უდარდელობაში კლავენ დროს. ამის დამადასტურებელია ამას წინათ თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოში განხილული სისხლის სამართლის საქმე არასრულწლოვან ნუგზარ ზაქარიას-ძე თუხარელის და ანატოლი ვლადიმერის-ძე კარაკულოვის მიმართ, რომლებმაც 1969 წლის ივლისიდან მოკიდებული თბილისში 12 ბინა გაქურდეს და მოქალაქეებს 3245 მანეთის ზარალი მიაყენეს. სასამართლოს სხდომის დარბაზში მყოფნი უფრო კმაყოფილებით შეხვდებოდნენ განაჩენს, საბრალდებო სკამზე ნუგზარის და ანატოლის გვერდით მათი მშობლებიც რომ ყოფილიყვნენ, რადგან ორივე ახალგაზრდა მშობლიური მეთვალყურეობისა და კონტროლის გარეშე იზრდებოდა.

მშობლებს უდიდესი მოვალეობა აკისრიათ შვილების წესიერად აღზრდაში, რომ ისინი იყონ სულით ძლიერი, მორალურად სპეტაკი, ფიზიკურად ჯანსაღი, საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანები.

**რ. ჭოლოშვილი,**
**თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი.**

# მსოფლიო დღეს

## კომპოზიტორთა სემინარი

ბერლინი, 13 ივლისი. (საკდესი). „ვ. ი. ლენინის სახე მუსიკაში" — ასეთია თემა კომპოზიტორთა მე-9 საერთაშორისო სემინარისა, რომელიც გაიხსნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში გ. აისლერის სახელობის უმაღლეს სკოლაში. სემინარზე გამოვიდა ცნობილი მუსიკათმცოდნე იქ მაინკა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა). მან ილაპარაკა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორთა ახალ ნამუშევრებზე, რომლებიც ვ. ი. ლენინს მიეძღვნა, კერძოდ, სემინარის მონაწილეებს გააცნო დ. შოსტაკოვიჩის, ა. ხაჩატურიანის, დ. კაბალევსკის, რ. შჩედრინის ახალი ნაწარმოებნი. მსმენელთა აღიარება და სიყვარული დაიმსახურა აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომპოზიტორთა ისეთმა ნაწარმოებებმა, როგორიცაა ე. გ. მაიერის ლენინისადმი მიძღვნილი კანტატა. გ. აისლერის ნაწარმოებნი.

## თურქეთის მთავრობის მოთხოვნა

სტამბოლი, 13 ივლისი. (საკდესი). თურქეთის მთავრობა, განაცხადა თურქეთის განათლების მინისტრმა ორხან ოგუზმა, გადაჭრით მოითხოვს, რომ არქეოლოგიური ნაპოვნები, რომლებიც თურქეთიდან კონტრაბანდულად, გაიტანეს დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში, დააბრუნონ.

ეს მოთხოვნა გამოწვეულია იმით, რომ ამ უკანასკნელ წლებში ბევრი ისტორიული ძეგლი, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს თურქეთში, უკანონოდ იგზავნებოდა დასავლეთის ქვეყნების მუზეუმებში.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, რომლებიც უარს ამბობენ ხელი შეუწყონ გატაცებულ ისტორიულ ღირებულებათა დაბრუნებას, ჩამოერთმევათ უფლება აწარმოონ გათხრები თურქეთში.

## საიუბილეო მზადება

### რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

ბუქარესტი, 13 ივლისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა რუმინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება რუმინეთის კომპარტიის 50 წლისთავის ზეიმობის შესახებ, რომელიც 1971 წლის მაისში სრულდება.

რუმინეთის კომპარტიის ხელმძღვანელობით ნათქვამია დოკუმენტში, რუმინეთის მშრომელებმა განვლეს ბრძოლისა და გამარჯვებათა დიდი გზა, დაამხეს მმართველი კლასებისა და უცხოეთის იმპერიალიზმის ბატონობა, განახორციელეს სახალხო რევოლუცია, შეუდგნენ სოციალიზმის მშენებლობას, სოციალური პროგრესის ფართო გზა გაუხსნეს რუმინეთს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება რუსეთში, რითაც დაიწყო კაცობრიობის კაპიტალიზმიდან სოციალიზმში გადასვლის ეპოქა, ხაზგასმულია დადგენილებაში, შთამაგონებელი მაგალითი იყო რუმინეთის რევოლუციური მუშათა მოძრაობისათვის, დიდი გავლენა მოახდინა ამ მოძრაობაზე. რუმინელ რევოლუციონერ მებრძოლებს, რუმინეთის ხალხის მასებს მიაჩნდათ, რომ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვება სტიმული და მგზნებარე მოწოდება იყო თავისუფლებისა და პროგრესის განხორციელებისათვის, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის საბრძოლველად.

რუმინელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის გამარჯვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბრწყინვალე გამარჯვებებს, რომლებიც მოიპოვეს სახელოვანმა საბჭოთა არმიამ, საბჭოთა კავშირის გმირმა ხალხებმა, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ანტიჰიტლერული ბრძოლის მთავარი სიმძიმე, გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ფაშისტური უღლისაგან ხალხთა განთავისუფლებაში.

რუმინეთის კომპარტიის 50 წლისთავის დღესასწაული, ნათქვამია დადგენილებაში, ხელს შეუწყობს ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან, ყველა მოძმე კომუნისტურ და მუშათა პარტიასთან, დემოკრატიულ, ანტიიმპერიალისტურ ძალებთან თანამშრომლობისა და სოლიდარობის შემდგომ განვითარებას, გააძლიერებს საერთაშორისო მოძრაობას სოციალიზმისა და კომუნიზმის კეთილშობილური საქმისათვის, ბრძოლას დაძაბულობის შენელებისათვის, მთელი მსოფლიოს უშიშროებისა და მშვიდობისათვის.

რუმინეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რომ რუმინეთის კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის ზეიმობა დაუკავშირდეს შემოქმედებით საქმიანობას მე-10 ყრილობის მიერ შემუშავებული სამშობლოს აყვავების დიდებული პროგრამის განსახორციელებლად, ახალ მიღწევებს სოციალიზმის მშენებლობაში, ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში, ცხოვრების დონის ამაღლებაში, პარტიის, საზოგადოებაში მისი ხელმძღვანელი როლის შემდგომ განმტკიცებას, მშრომელთა ფართო მასებში პარტიის პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობის გაძლიერებას.

## რევანშისტთა შესანახი ხარჯები

ბონი, 13 ივლისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის რევანშისტული ორგანიზაციები კვლავ იღებენ ფულად სახსრებს სახელმწიფო ხაზინიდან. ამას მოწმობს გაზეთების ცნობები. პრესის მონაცემებით, დასავლეთ გერმანიის „შიდაგერმანული ურთიერთობის „სამინისტროს ბიუჯეტი. 1970 წელს ითვალისწინებს 38,4 მილიონი მარკის გაღებას „განდევნილთა კავშირის" — რევანშისტულ „სათვისტომოთა" გაერთიანების შესანახად.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ 1970 წლისათვის გამოყო 2,9 მილიონ მარკაზე მეტი ამ ორგანიზაციათა საჭიროებისათვის.

როგორც პრეს-ბიულეტენი „ნოიე კომენტარე" აღნიშნავს, „განდევნილთა კავშირი" და მისი მონათესავე ორგანიზაციები მნიშვნელოვან სახსრებს იღებენ დასავლეთ გერმანიის მხარეთა მთავრობებისაგანაც.

მაგალითად, ჰესენის მთავრობამ გამოიტანა სპეციალური დადგენილება, რომელიც ავალებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს გადაურიცხონ ხოლმე ფულადი სახსრები „განდევნილთა კავშირის" საოლქო ორგანიზაციებს.

რევანშისტებისათვის არ იშურებს სახსრებს ბავარიის მთავრობა, რომელსაც მეთაურობს შტრაუსის ქრისტიანულ-სოციალური კავშირი. მისი განსაკუთრებული სიმპათიით სარგებლობს „სუდეტელ გერმანელთა სათვისტომო", გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი რევანშისტული ორგანიზაცია. ბავარიის მთავრობამ დოტაციის სახით გამოყო 50 ათასი მარკა ამას წინათ მიუნხენში მოწყობილ „სუდეტელ გერმანელთა დღის" „დასაფინანსებლად.

ოპოზიციური ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ქრისტიანულ-სოციალისტური კავშირის დეპუტატებმა ამ დღეებში ბუნდესტაგში შეიტანეს პროექტი კანონისა „სათვისტომოების დასახმარებლად სპეციალური ფონდის შექმნის შესახებ" და მოითხოვეს 110 მილიონი მარკის ასიგნება ამ ფონდისათვის.

## 13 ივლისი

### რაზე წერს უცხოეთის პრესა

## ყოველი მხრიდან

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთისა და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა სახელმწიფოების, აგრეთვე ბალტიისპირა ქვეყნების პრესა წერს, რომ როსტოკში გაიხსნა ბალტიის ზღვის კვირეული. ბალტიის ზღვის კვირეული, ხაზს უსვამს პოლონური „გლოს პრაცი", ბალტიისპირა ქვეყნების, ნორვეგიისა და ისლანდიის წარმომადგენელთა შეხვედრების კარგი ტრადიცია გახდა. ეს არის ყველა იმათი შეხვედრა, ვინც ნამდვილად ესწრაფვის იმას. რომ ბალტიკა იყოს მშვიდობის ზღვა, ვისაც სურს თავისუფალ, საქმიან ატმოსფეროში გამოთქვას აზრი ევროპის თანამშრომლობის განმტკიცების გზების შესახებ. როსტოკში ერთმანეთს ხვდებიან აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რათა ეძიონ ურთიერთკონტაქტებისა და ერთობლივი მოქმედების პლატფორმების გაფართოების შესაძლებლობანი.

საზღვარგარეთის ბევრი გაზეთი ეხება ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას ინდოჩინეთში და აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი კვლავ ცდილობს ძალის საშუალებით თავს მოახვიოს ამ რაიონის ხალხებსა და ქვეყნებს თავისი ნება. „ამერიკის შეერთებული შტატები, — ხაზს უსვამს პოლონური „ჟოლნეჟ ვოლნოსტი", — ცდილობს მიაღწიოს მშვიდობას ომის საშუალებით... ძალის გამოყენების არგუმენტი ჯერ კიდევ რჩება ამერიკის დელეგაციის მთავარ საბუთად პარიზის მოლაპარაკებაში ვიეტნამის შესახებ.

„ნიუ-იორკ დეილი ნიუსი" იუწყება, რომ ამერიკის „ბ-52" ბომბდამშენებმა კვლავ მოახდინეს თავდასხმა სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე, რომელიც დემილიტარიზებულ ზონას აკრავს.

„ნიუ-იორკ ტაიმსი" აჯამებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ინგლისში მოგზაურობის შედეგებს და წერს, კერძოდ: ამ კვირაში როჯერსი მოახსენებს პრეზიდენტ ნიქსონს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები" უნდა ემზადოს ხანგრძლივი ომისათვის ინდოჩინეთში".

ახლო აღმოსავლეთის თემა საზღვარგარეთის დღევანდელი პრესის ერთ-ერთი მთავარი თემაა. გაზეთები ხაზს უსვამენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ შეერთებული შტატები სულ უფრო მეტ დახმარებას უწევს ისრაელ აგრესორებს. „ნიუ-იორკ ტაიმსის" ვაშინგტონელი კორესპონდენტი წერს, რომ ამერიკა სულ უფრო „ჩქარი ტემპით" აწვდის ისრაელს სამხედრო დახმარებას. ეს და უცხოეთის ბევრი სხვა გაზეთი ყურადღებას უთმობს ცნობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ნიქსონმა „გაუხმაურებლად უბრძანა პენტაგონს მიაწოდოს ისრაელს ივლისში რვა „ფანტომი" და ყოველთვიურად უგზავნოს ორ-ორი „ფანტომი" გაურკვეველი დროის მანძილზე".

„ნიუ-იორკ ტაიმსი" აგრეთვე აღნიშნავს, რომ გასულ კვირაში ისრაელს ამერიკის შეერთებული შტატებიდან გაეგზავნა „რთული სარადარო მოწყობილობა, რომელსაც ამერიკელი მფრინავები იყენებენ ვიეტნამში".

ინგლისის პრესა მნიშვნელოვან ადგილს უთმობს საშინაო ამბებს. ხაზს უსვამენ ცნობებს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიაში დაძაბული მდგომარეობაა. გაზეთები მოელიან ახალ მღელვარებას იმასთან დაკავშირებით, რომ დღეისათვის დანიშნულია პროტესტანტ ექსტრემისტთა პროვოკაციული მარში. აღნიშნავენ, რომ ინგლისის საოკუპაციო ჯარები ჩრდილოეთ ირლანდიის ქალაქებში გამზადებული არიან საბრძოლველად.

პარიზის გაზეთები აქვეყნებენ დიდძალ მასალას იმასთან დაკავშირებით, რომ ხვალ აღინიშნება ბასტილიის აღების დღე — საფრანგეთის ეროვნული დღესასწაული. (საკდესი).

## ოპერაცია „მკითხველთა ბარათები"

ვაშინგტონი, 13 ივლისი. (საკდესი). ტელეფონის ლაპარაკის მიყურადება, „არაკეთილსაიმედოთა" თვალთვალი, ცნობის მიმწოდებელთა შეგზავნა სხვადასხვა საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციაში, „სხვაგვარად მოაზროვნეებზე" ვრცელი დოსიეს წარმოება, ყოველივე ეს „ამერიკული ცხოვრების წესის" განუყრელი ატრიბუტები გახდა.

მაგრამ ესეც არ აკმაყოფილებს „კუდიანებზე ნადირობის" პოლიციელ სპეციალისტებს. საიდუმლო სამსახურის აგენტები, როგორც გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" აღნიშნავს, ეს ერთი ხანია საჯარო ბიბლიოთეკების მუდმივი სტუმრები გახდნენ. ისინი ყურადღებით სწავლობენ აბონენტთა სიებს და იწერენ გარკვეული ლიტერატურის მკითხველთა გვარებს.

მილუოკის საჯარო ბიბლიოთეკის მუშაკმა ვივიან მედოქსმა გაზეთის კორესპონდენტს უამბო, რომ მაისის დამდეგს საიდუმლო პოლიციის აგენტმა მოსთხოვა 30 წიგნის მკითხველთა სია. მან უარი უთხრა ცნობების მიცემაზე, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქის პროკურატურიდან მიიღო მითითება გადაეცა აგენტისათვის მკითხველთა ბარათები.

აგენტები მკითხველთა ბარათებს სწავლობენ აგრეთვე ატლანტისა და სხვა ქალაქების ბიბლიოთეკებში.

## გაფიცვა ფართოვდება

ლონდონი. (საკდესი). ინგლისში უკვე დიდი ხანია აღარ ყოფილა ესოდენ მძაფრი საგაფიცვო ბრძოლა. ამა წლის პირველ ხუთ თვეში გაფიცვების შედეგად დაიკარგა დაახლოებით 4 მილიონი სამუშაო დღე — თითქმის ერთიორად მეტი, ვიდრე გასული წლის იმავე პერიოდში.

საყოველთაო გაფიცვა მოედო პატარა კუნძულ ჯერსის ლა-მანშის სრუტეში, რომლის მოსახლეობა 63 ათასი კაცია. ათასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ მოითხოვა ხელფასის მომატება. გაფიცვამ მთლიანად მოშალა კუნძულის საქმიანი ცხოვრება.

გაფიცვის საფრთხე მოელის რკინიგზებს. ინგლისის რკინიგზელები შეიკრიბნენ თავისი პროფკავშირის ყოველწლიურ კონფერენციაზე, რომელშიც 190 ათასი წევრია გაერთიანებული. მათ მოითხოვეს ხელფასის გადიდება ცხოვრების ღირებულების ზრდასთან დაკავშირებით. ასეთივე მოთხოვნა წამოაყენა მემანქანეთა და ცეცხლფარეშთა გაერთიანებულმა პროფკავშირმა, რომელშიც შედის 32 ათასი კაცი.

მაგრამ ყველაზე სერიოზული შრომითი კონფლიქტი შეიძლება დაიწყოს 14 ივლისს, თუ მთავრობა და ნავსადგურების ადმინისტრაცია თავიდან ვერ აიცილებენ 47 ათასი დოკერის საერთო-ეროვნულ გაფიცვას.

ინგლისის მთავრობა მეტად შეშფოთებულია მოვლენების განვითარებით „უაიტჰოლზე, — წერს გაზეთი „გარდიანი", — სასწრაფოდ ამუშავებენ ღონისძიებებს გაფიცვების შემთხვევისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყანაში საგანგებო წესების შემოღებას, როცა მთავრობას ეძლევა შეუზღუდველი უფლებანი გაფიცულთა წინააღმდეგ საბრძოლველად.

## იბრძვის მშრომელი ამერიკა

ნიუ-იორკი, (საკდესი). ამერიკელი მშრომელები მოითხოვენ ხელფასის მომატებას ცხოვრების ღირებულების განუწყვეტელ ზრდასთან დაკავშირებით.

კლივლენდში (ოჰაიოს შტატი) ავტობუსების 2 ათასმა მძღოლმა გამართა 11 დღის გაფიცვა.

ნიუ-იორკში გაფიცულია ათასობით მელიფტე, რომლებიც სახლების მფლობელთაგან ხელფასის მომატებას მოითხოვენ.

აეროდრომთა ბეტონის გზებზე უმოძრაოდ დგას „ნორტ-უესტ ეირლაინზის" ავიაკომპანიის თვითმფრინავები. ამის მიზეზი კომპანიის სამი ათასი მოსამსახურის გაფიცვაა.

გაიფიცნენ სამშენებლო მუშები ამერიკის შეერთებული შტატების ატომური ენერგიის კომისიის მერკიურის (ნევადის შტატი) საცდელ პოლიგონზე. როგორც ამ კომისიის წარმომადგენელმა ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტს განუცხადა გაფიცვამ მნიშვნელოვნად შეაფერხა გამოცდების პროგრამა".

## ფორმა და შინაარსი

### სოლიდარობის ნიშნად

[illegible] (საკდესი). ჩილეს 28 [illegible] ბანკის მუშამ გამოაცხადეს გაფიცვა. ბანკის მოსამსახურეთა ფედერაციის მოწვევით ისინი გაიფიცნენ თავიანთ ამხანაგებთან სოლიდარობის ნიშნად, რომლებიც დაითხოვეს „პასიფიკოს" ბანკის დახურვის შედეგად.

ჩილეს მშრომელთა ერთიანმა კომკავშირულმა ცენტრმა მხარი დაუჭირა გაფიცულებს.

## თავიანთი უფლებების დასაცავად

დელი. (საკდესი). ბეასის (პენჯაბის შტატი) საირიგაციო-ენერგეტიკული კომპლექსის 16 ათასზე მეტმა მუშამ და მოსამსახურემ გამართა 24 საათის გაფიცვა. მოითხოვეს სამართლიანი ხელფასი და ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესება. როგორც ინდოეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გაფიცულებმა ადმინისტრაციის შენობის წინ მოაწყვეს დემონსტრაცია, რომელშიც აგრეთვე მონაწილეობდნენ მათი ოჯახის წევრები.

## პარტიზანები წარმატებით მოქმედებენ

კაირო, 13 ივლისი. (საკდესი). 12 ივლისს პალესტინის ორგანიზაცია „ალ-ასიფის" ერთ-ერთი რაზმის მებრძოლები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ორ სამხედრო პატრულს მდინარე იორდანის ხეობის ჩრდილოეთ ნაწილში, დასახლებული პუნქტების ზურ ემშიშანისა და ზურ აბუ-ისის მახლობლად.

თავდასხმის შედეგად პატრიოტებმა მოსპეს ისრაელთა ერთი ჯავშანტრანსპორტიორი, ხოლო იქ მყოფი ჯარისკაცები დახოცეს ან დაჭრეს. ეს ნათქვამია პალესტინის გაერთიანებული სარდლობის წარმომადგენლის განცხადებაში, რომელიც მენის სააგენტომ გადასცა.

წარმომადგენელი დასძენს, რომ იმავე დღეს „ალ-ასიფის" მებრძოლთა ერთ-ერთმა რაზმმა არტილერიის ცეცხლი დაუშინა ისრაელთა გასამხედროებულ დაბა აშდოტ-იააკოვს და დაანგრია რამდენიმე შენობა, გააჩინა დიდი ხანძრები.

## ფოტოკარტით მსოფლიოს ქალაქებში



ვიგო (ესპანეთი) ქუჩა ქალაქის გარეუბანში.

(საკდესის ფოტოქრონიკა).

## „რა-2"-მა მიზანს მიაღწია

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. (საკდესი). პაპირუსის გემი „რა-2", რომელშიც ინტერნაციონალური ეკიპაჟია, 12 ივლისს დილით მიუახლოვდა კარიბის ზღვის ბარბადოსის კუნძულის სამხრეთ ნაპირს. მამაც მეზღვაურებს, რომლებსაც მეთაურობს ნორვეგიელი მკვლევარი ტურ ჰეიერდალი, იმედი აქვთ, რომ დღეს საღამოს შევლენ ბრიჯტაუნის (ბარბადოსი) ყურეში, მას შემდეგ, რაც ატლანტის ოკეანეში გაიარეს 5.141 კილომეტრი.

ეს იყო ძნელი 57 დღის მოგზაურობა. 12 ივლისს დილით მეზღვაურებმა პირველად დაინახეს სანაპირო სამსახურის თვითმფრინავი. როგორც მფრინავმა რადიოთი გადასცა, „რა-2"-ის ეკიპაჟი სიხარულით, ხელის ქნევით მიესალმა მას. მფრინავმა განსაზღვრა გემის მდებარეობა.

როცა ადგილობრივმა რადიომოყვარულებმა „რა-2"-ის ეკიპაჟს უთხრეს, ნავი მხოლოდ 8 კილომეტრზეა სამხრეთ სანაპირო შუქურისგანო, ამან კვლავ მეზღვაურთა სიხარული გამოიწვია. გემი ნაპირის გასწვრივ მიცურავს საბოლოო მიზნისაკენ — ბრიჯტაუნისაკენ.

მეორე თვითმფრინავმა აღმოაჩინა, რომ ბრიჯტაუნამდე „რა-2"-მა უნდა გაიაროს კიდევ 57 კილომეტრი. კოორდინატები შეატყობინეს გემს და შტურმანმა რადიოთი უპასუხა „კურსი ზუსტია. ჩინებულად მივდივართო".

პაპირუსის გემი მაროკოდან გამოვიდა 17 მაისს. ეს ინტერნაციონალური ეკიპაჟის მეორე ცდაა დაამტკიცოს, რომ ჯერ კიდევ 4 ათასი წლის წინათ ეგვიპტელებს შეეძლოთ თავიანთი პაპირუსის გემებით სამხრეთ ამერიკაში წასულიყვნენ.

ნიუ-იორკი, 13 ივლისი. (საკდესი). „რა-2" პაპირუსის გემმა წარმატებით დაამთავრა 57 დღის მოგზაურობა. გუშინ 18 საათზე ადგილობრივი დროით (დღეს 01 საათზე მოსკოვის დროით) გემი შევიდა ბრიჯტაუნის (ბარბადოსი) ყურეში. შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ მამაც მეზღვაურებს — ტურ ჰეიერდალსა და „რა-2" ინტერნაციონალური ეკიპაჟის 7 წევრს, რომლებიც ნაპირზე გადავიდნენ. მათ მიაღწიეს თავიანთი მოგზაურობის მიზანს და დაამტკიცეს, რომ კიდევ 4 ათასი წლის წინათ ეგვიპტელებს შეეძლოთ ნაოსნობა პაპირუსის გემებით სამხრეთ ამერიკაში.

## საერთაშორისო ფელეტონი

# ინტერვიუ

— ქ-ნო პრემიერ-მინისტრო! გმადლობთ თავაზიანობისათვის, რომ მიმიღეთ. მე მსოფლიოში იმ უდიდესი გაზეთის წარმომადგენელი ვარ, რომელიც მხოლოდ სიმართლის შემცველ ინფორმაციებს ბეჭდავს.

— გთხოვთ დაბრძანდეთ. მე მხოლოდ თხუთმეტი წუთი შემიძლია დაგითმოთ. რა გაინტერესებთ?

— ქ-ნო პრემიერ-მინისტრო, როგორც გავიგე, თქვენი მთავრობა ამჟამად დიდი სიძნელეების წინაშე დგას.

— სრულებითაც არა! უდიდესი და უძველესი ქვეყნის სიძნელეები სრულიად უმნიშვნელო და ჩვეულებრივია. ლაპარაკია მხოლოდ მცირეოდენ სასაზღვრო კონფლიქტებზე. შეხედეთ ამ რუკას და მიხვდებით, თუ რაზეა ლაპარაკი.

— ოო, ეს ძალიან ძველი რუკაა.

— მართალი ხართ, მაგრამ იგი კარგად არის შენახული. რუკა შედგენილია სამ ათასზე მეტი წლის წინათ. იგი ჩვენმა არქეოლოგებმა აღმოაჩინეს.

— ამ რუკაზე მხოლოდ ერთი სახელმწიფოა აღნიშნული.

— მაშინ სხვა სახელმწიფოები არც ყოფილა. ყველა შემდეგდროინდელი სახელმწიფო ხელოვნურად არის შექმნილი. როცა ღმერთმა სამყარო შექმნა, ყველა მიწა ჩვენს წინაპრებს მისცა. მას შემდეგ აგერ უკვე თითქმის ექვსი ათასი წელიწადი გავიდა.

— მაგრამ სამყარო ხომ იქვს ათას წელზე მეტი ხნისა არის!

— არავითარ შემთხვევაში! ექვსი ათასი წლის წინათ ღმერთმა გააჩინა პირველი ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ჩვენი სახელმწიფო. მაგრამ უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში აქ უცხო ტომები ცხოვრობდნენ. და ახლა იძულებული ვართ განვდევნოთ ისინი.

— რას უპირებთ განდევნილთ?

— თუ ისინი ჩვენი ქვეყნიდან წასვლაზე უარს იტყვიან, შრომითს ბანაკებში მოვათავსებთ. ამით ვუზრუნველვყოფთ მათს უსაშიშრო ცხოვრებას.

— ეს უაღრესად კეთილშობილური აქტია თქვენი მხრივ. მაგრამ ხომ არა ჰგავს ეს ნაცისტურ „ქველმოქმედებას"?

— ნაციზმი, თუ იგი სწორად იქნება გამოყენებული, სულაც არ არის გასაკიცხავი. ეს ყველაზე ეფექტური საშუალებაა წითელი სენის წინააღმდეგ.

— ოქროს სიტყვებია, ქ-ნო პრემიერ-მინისტრო. მაგრამ ამ სენის დასაძლევად საჭიროა დიდძალი ფული.

— ფული პრობლემა როდია. მსოფლიოს უდიდესი ზარაფხანები ყოველდღიურად საკმაო რაოდენობით იძლევიან ბანკნოტებს.

— გამოდის, რომ თქვენი სახელმწიფო მდიდარია?

— თავისებურად კი, ვინაიდან ფული ჩვენკენ ყოველი მხრიდან მოედინება. ჩემს ქვეყანას ბევრი მდიდარი და გავლენიანი მეგობარ-ნათესავი ჰყავს, რომლებიც მხარს გვიჭერენ.

— თუ შეიძლება მათი სახელები მითხრათ?

— აი, მაგალითად, ჩვენი ძია ნატო და მისი მფარველი პენტაგონი...

— გმადლობთ, ქ-ნო პრემიერ-მინისტრო! სასიამოვნო იყო თქვენგან გულწრფელი სიტყვის მოსმენა. თქვენ მთელი მსოფლიო გიცნობთ და გაფასებთ როგორც ნაზ და სანდომიან ქალს, რომლის სიტყვები ქნარის სიმებივით ჟღერენ. ნება მიბოძეთ კიდევ ერთი ინტიმური კითხვა მოგცეთ?

— გთხოვთ.

— ყველა ადამიანს აქვს თავისი ყველაზე საყვარელი სიტყვა. არის თუ არა თქვენს მშობლიურ ენაში ისეთი სიტყვა, რომელიც ყველაზე ძალიან მოგწონთ?

— ჩემს მშობლიურ ენაში არის ორი სიტყვა, რომელიც ჩემს ყურში ციური მუსიკასავით ჟღერს, ეს არის „ფული" და „ომი".

— გმადლობთ, ქ-ნო პრემიერ-მინისტრო! რამდენადაც კიდევ ერთი წუთი რჩება, ნება მიბოძეთ ერთი შეკითხვაც მოგცეთ. თქვენ ეს-ეს არის თქვით, რომ თქვენს სახელმწიფოს მალე ექვსი ათასი წელი შეუსრულდება. რა საჩუქრებს მოელით თქვენი მდიდარი მეგობარ-ნათესავებისაგან?

— თანამედროვე ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენებს და, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ ფულს.

**მარტი ლარნი,**
ფინელი მწერალი

## ისტორიის ნიშანსვეტი



ბასტილიის კომენდანტმა მარკიზ დე ლონემ ჯარისკაცებს უბრძანა სროლა აეტეხათ და ტყუილუბრალოდ დაღუპა ასი კაცი იერიშის მონაწილეთაგან. იგი მოკლა გააფთრებულმა ხალხმა. რეაქციონერი ისტორიკოსები თავიანთ შრომებში კომენდანტს ასჯერ მეტ ადგილს უთმობენ, ვიდრე მის ას მსხვერპლს მათ გაკვირვებულადაც მოაქვთ თავი. რატომ არის, რომ ციხის აღებას, რომელმაც შვიდი პატიმრის განთავისუფლება გამოიწვია, ჩვენს ისტორიაში ამდენი ადგილი უჭირავსო. 14 ივლისი ჩვენი ეროვნული დღესასწაული რატომ გახდაო; 1792 წლის 10 აგვისტოს, როცა ხალხის აჯანყებამ ლუდოვიკ XVI ჩამოაგდო, 20 სექტემბერს, როცა შეიქმნა კონვენტი და გამოცხადებულ იქნა რესპუბლიკა, ხომ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდაო. ყოველივე ეს მართალია, მაგრამ 14 ივლისი იყო გარიჟრაჟი, ფარდა, რომელიც აიხადა და ახალი დროება გამოაჩინა. ამას მაშინვე მიხვდა ყველა თანამედროვე — გარდა მეფისა.

ეს ამბოხებაა, — თქვა ლუდოვიკ XVI-ემ. — არა, თქვენო უდიდებულესობავ, ეს რევოლუციააო, უპასუხა ჰერცოგმა დე ლაროშფუკომ. 16 ივლისს დამფუძნებელი კრება ადგენს, ბასტილია დაუყოვნებლივ უნდა დაინგრესო, ხოლო 18 ივლისს პირველი პრინცები, კონდე, ენგიენი, ბროგლი, 150 ათასი ემიგრანტის ავანგარდი საფრანგეთიდან გაიქცნენ და მალე შეუერთდნენ უცხოეთის კონტრრევოლუციურ არმიებს.

რა თქმა უნდა, აჯანყებულებს ბასტილია 1750 წელს რომ დაეკავებინათ, ეს რევოლუცია კი არა, ამბოხება იქნებოდა. ბასტილიის აღებას აზრი ჰქონდა 1789 წლის 14 ივლისს. ამ წელს ახლოვდებოდა გაკოტრება: მეფის წინააღმდეგ უმაღლესი სასამართლოებიც კი გამოდიოდნენ, რომლებიც ყველაზე რეაქციული იყვნენ, იმიტომ რომ რეფორმებს ეწინააღმდეგებოდნენ; მეფის წინააღმდეგ გამოდიოდნენ ისინი, ვინც მოტყუებული არ იყო. მეფის წინააღმდეგ იყო დამფუძნებელი კრება; მის წინააღმდეგ იყო საფრანგეთი, რომელსაც მშიერთა ამბოხებები აზანზარებდა; მის წინააღმდეგ იყო პარიზი. მეფის მხარეზე იყვნენ სამღვდელოების ნაწილი, გარყვნილი თავადაზნაურობა. არასაიმედო არმია.

დედოფალი მარიამ-ანტუანეტა თავის საყვარელს ფერსენს სწერდა, პარიზელებს „მხოლოდ პურის სიძვირე" აფიქრებსო.

პარიზელთა სიძულვილი მიმართული იყო აბსოლუტური მონარქიის წინააღმდეგ. 1789 წლის 14 ივლისმა მომდევნო განსაცვიფრებელი ხუთი წლის დასაწყისი აღნიშნა. ეს წლები მოასწავებდნენ საფრანგეთის რევოლუციის დემოკრატიულ მონაპოვრებს, რომლებიც მასთან ერთად გაქრნენ, და ევროპაში კვლავ გამოჩნდნენ რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. რესპუბლიკის მთავარი იდეა ის იყო, რომ სახელმწიფოს მართვა სახალხო საქმეა, რომ იგი ყველა თავის რგოლში მოქალაქეთა პრეროგატივაა. აქედან მომდინარეობდა არჩეული წარმომადგენლების: მუნიციპალური, გენერალური საბჭოების, საკანონმდებლო ხელისუფლების როლი წინააღმდეგ ნაპოლეონ ბონაპარტის, ნაპოლეონ III-ის, მეხუთე რესპუბლიკის მმართველების მთელი პოლიტიკისა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ დაეკნინებინათ არჩეულ წარმომადგენელთა მნიშვნელობა და გადაეცათ მათი უფლებები ხელისუფალთა მიერ დანიშნული წარმომადგენლებისათვის.

„თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა!" — აცხადებდა უფლებათა დეკლარაცია, რომელმაც შეცვალა ბასტილიის დროინდელი უუფლებობა. მაგრამ გავიდა ცოტა ხანი, სულ ერთი თუ ორი წელი, და ეროვნულმა კრებამ საარჩევნო უფლებები წაართვა მილიონობით ლურჯხალათიანებს, იმათ ვინც იერიში მიიტანა ბასტილიაზე, ხოლო კიდევ რამდენიმე ხნის შემდეგ ბურჟუაზიის ზარბაზნები ცელავდნენ მარსის ველზე სენტ-ანტუანის გარეუბნის პროლეტარებს. ფეოდალიზმის ბორკილები კაპიტალისტურმა ბორკილებმა შეცვალა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია გრძელდებოდა, კერძო საკუთრების „ურყევი" უფლებით ნაკურთხი. მხოლოდ დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, რომელმაც დაამსხვრია ყველა და ყოველგვარი ბორკილი, მისცა უბრალო მშრომელს ნამდვილი თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა.

თარგმანი „ლუმანიტე-დიმანშიდან"

• • •

სურათზე: ასეთი იყო ციხე-სიმაგრე ბასტილია.

ფოტო ჟურნალ „ფრანს ნუველიდან" (პარიზი).

## ირანელი სტუმარი საქართველოში

გასულ კვირადღეს თბილისში ჩამოვიდა ირანის პრინცი, ირანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გოლამ რეზა ფეჰლევი. იგი საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის მოწვევით.

ირანის პრინცთან ერთად ჩამოვიდნენ ირანის ელჩი სსრ კავშირში აჰმად მირფენდერესკი და სხვა ირანელი სტუმრები.

გოლამ რეზა ფეჰლევის შეხვდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, თბილისის სპორტული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები.

ჩამოსვლის დღეს ირანის პრინცი და მისი თანმხლები პირები იწვივნენ ჩაის სახლს 13 ივლისს გოლამ რეზა ფეჰლევი და მისი თანამგზავრები იყვნენ ქალაქში. თბილისის მთავარი არქიტექტორი შ. ყავლაშვილი სტუმრებს ესაუბრა რესპუბლიკის დედაქალაქის საქალაქო მეურნეობის განვითარების, საბინაო და კულტურული მშენებლობის შესახებ. სტუმრები იყვნენ შამპანური ღვინოების ქარხანაში, დიდი ინტერესით დაათვალიერეს საქართველოს სახალხო მხატვრის ლადო გუდიაშვილის სახელოსნო. ირანის პრინცი დაესწრო ფეხბურთის მატჩს, რომელიც გაიმართა თბილისის „დინამოსა" და ოდესის „ჩერნომორეცს" შორის. (საქდესი).

ირანის პრინცი, ირანის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი გოლამ რეზა ფეჰლევი 13 ივლისს ეწვია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს რ. დვალს. პრინცთან ერთად იყო ირანის ელჩი სსრ კავშირში აჰმად მირფენდერესკი.

გაიმართა მეგობრული საუბარი. საუბარში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი გ. წერეთელი, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. მელაძე, პროფესორი ჯ. გიუნაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქმეთა მმართველი მ. ჭიჭინაძე, სსრ კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პასუხისმგებელი მდივანი გ. სავინი, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე.

რ. დვალი მიესალმა გოლამ რეზა ფეჰლევს და აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებას გამოთქვამე იმის გამო, რომ მტკიცდება და ვითარდება საბჭოთა კავშირისა და ირანის ხალხების მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა. მან ილაპარაკა საქართველოს ეკონომიკასა და კულტურაზე.

სტუმარს გააცნეს გამოკვლევები, რომლებსაც ქართველი ირანისტები ეწევიან. მას საჩუქრად გადასცეს ქართველ მეცნიერთა შრომები ირანის ისტორიის, სპარსული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე. ირანის პრინცს გააცნეს „სსრ კავშირ-ირანის" საზოგადოების საქართველოს განყოფილების საქმიანობა.

გოლამ რეზა ფეჰლევიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანსა და საქართველოს შორის სულ უფრო ვითარდება ტრადიციული კულტურული ურთიერთობა. მან მადლობა გადაიხადა იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც საქართველოში უთმობენ მისი ხალხის ძველი კულტურის შესწავლას.

კაცობრიობის პროგრესი, — თქვა ირანის პრინცმა, — წარმოუდგენელია ისე, თუ ერთმანეთს არ გავუზიარებთ მეცნიერების, კულტურისა და ეკონომიკის დარგში მიღწეული წარმატებანი. გოლამ რეზა ფეჰლევიმ დიდად შეაფასა ქართველ სპორტსმენთა წარმატებანი. (საქდესი).

# კომუნისტი სპორტი

# თბილისის „დინამო"–ლიდერი

„დინამო" (თბილისი) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 2:0 (0:0). თბილისი. 13 ივლისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. მსაჯი — ა. კიშკო (ლენინგრადი).

„დინამო" — ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა (რეხვიაშვილი), ხინჩიგაშვილი, პეტრიაშვილი, გავაშელი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

„ჩერნომორეცი" — იარჩუკი, ლისენკო, რეშკო, ზუბკოვი, მოსკვიჩოვი, მასლოვი, პარკუიანი (ოცი), შემანოვიჩი (სკურსკი), პროკოპენკო, მიხაილინი, ზვენიგოროდსკი.

ეს გუნდები ორი კვირის წინ შეხვდნენ ერთმანეთს თასის მეოთხედფინალში. ძნელი მატჩი ჰქონდათ მაშინ დინამოელებს ოდესაში და მაინც წარმატება თბილისელებს ხვდათ 2:1.

გუშინდელი მატჩი კი მეტოქეთათვის ჩემპიონატის პირველი წრის შეხვედრა გახლდათ.

პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ პირველ ტაიმს მაყურებელთათვის ბევრი სიამოვნება არ მოუგვრია. მართალია, ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა ჰქონდა ორივე გუნდს, უფრო მეტად კი მასპინძლებს, მაგრამ, ზოგჯერ არაზუსტი დარტყმის, ზოგჯერ კი მეკარეთა ჩინებული თამაშის შედეგად პირველ ტაიმში ბურთი არ გაუტანიათ.

არც მეორე ნახევრის დასაწყისი იყო მიმზიდველი. ცოტა შეცდომებს როდი უშვებდნენ ფორვარდები ბურთის დამუშავებაში, გადაცემებში... თანდათანობით დინამოელებმა ააწყვეს თამაში. იერიშებს შესანიშნავად ედგა სათავეში ასათიანი, უფრო აქტიურები გახდნენ ძმები ნოდიები და აი ოდესელთა ნაცად პრესინგში ბზარი გაჩნდა—ხშირი იყო კუთხურები, საჯარიმო დარტყმები. სტუმართა ერთ-ერთ უხეშ თამაშს 52-ე წუთზე ჯარიმა მოჰყვა. ოდესელთა „ცოცხალმა კედელმა" ვერაფერი უშველა ასათიანის ძლიერეს დარტყმას. მეკარემ ბურთს მხოლოდ მაშინ შეხედა, როდესაც იგი ბადეში იყო გახვეული.

ამ გოლმა ძირფესვიანი გარდატეხა შეიტანა თამაშში, იგი უფრო ლამაზი და მიმზიდველი გახდა, ახლა სტუმრებმა გაშლილ ბრძოლას მიმართეს, მაგრამ უკვე გვიან იყო, ძნელი გახდა რიტმულად მოთამაშე დინამოელთა შეკავება. 67-ე წუთზე კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი გავაშელმა „ჩერნომორეცის" კარში მოათავსა.

დარჩენილ წუთებში ანგარიში არ შეცვლილა. დინამოელებმა მეტად მნიშვნელოვანი 2 ქულა მოიპოვეს, გაიმარჯვეს 2:0 და ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ.

ამ გუნდების დუბლიორთა მატჩის შედეგია ფრე — 2:2.

ვ. გაბელია.

# მატჩები და შედეგები

12 და 13 ივლისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის მატჩები ფეხბურთში „ა" კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

კვირას მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და დედაქალაქის „ტორპედოს" გუნდები. მატჩის ბედი გადაწყვიტა მეორე ტაიმში აბრამოვის მიერ გატანილმა ერთადერთმა გოლმა. გაიმარჯვეს ტორპედოელებმა. უკანასკნელ წუთში ტორპედოელთა მეკარე ბანიკოვმა მოიგერია 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

გუშინ მოსკოვში შედგა ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი დედაქალაქის „სპარტაკისა" და „დინამოს" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს სპარტაკელებმა 4:1.

[illegible]

## შეხვედრა დონეცკში

გუშინ ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელებს გასვლითი თამაში ჰქონდათ დონეცკში „შახტიორთან". მასპინძლები, რომლებმაც წინა ტურში საკუთარ მოედანზე დამარცხება განიცადეს აუტსაიდერთან — ორჯონიკიძის „სპარტაკთან" შეხვედრაში დიდი ანგარიშით, ამჯერად შეუპოვრად იბრძოდნენ.

შუა ტაიმში ტორპედოელებმა ხელიდან გაუშვეს მეტოქის კარის აღების საუკეთესო შესაძლებლობა — ხურხაძე პირისპირ აღმოჩნდა „შახტიორის" მეკარესთან, მაგრამ უშედეგოდ. 34-ე წუთზე დონეცკელებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რომელსაც გოლი მოჰყვა. მასპინძლები ინარჩუნებდნენ ტერიტორიულ უპირატესობას, ცოტა ჯაფა როდი დაადგათ „ტორპედოს" მცველებს და მეკარე გოგიას. და მაინც ტაიმის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე დონეცკელებმა მეორე ბურთი გაიტანეს მეტოქის კარში.

მეორე ნახევარი ორმხრივი იერიშებით აღინიშნა. 70-ე წუთზე ქუთაისელთა ერთ-ერთი კომბინაცია ქორიძემ გოლით დააგვირგვინა, მაგრამ 12 წუთის შემდეგ კონკოვმა მესამე ბურთი გაიტანა სტუმართა კარში.

3:1 — ასეთი ანგარიშით გაიმარჯვეს დონეცკელებმა.

დუბლიორთა მატჩშიც წარმატება მასპინძლებს ხვდა 5:0.

## [illegible] ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ჯგუფი

მდგომარეობა 14 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (თბ.) | 15 | 8 | 5 | 2 | 22-8 | 21 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |



[illegible]

## „ა" კლასის პირველ ჯგუფში

[illegible]

# ოთხი ოქრო, ერთი ბრინჯაო

ᲙᲐᲜᲐᲓᲘᲡ ქალაქ ედმონტონში დამთავრდა მსოფლიოს პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში. ისევე როგორც კლასიკურ ჭიდაობაში, აქაც დიდი წარმატება საბჭოთა ათლეტებს ხვდათ. მათ მოიპოვეს ოთხი ოქროსა და ერთი ბრინჯაოს მედალი, აგრეთვე საერთო გუნდური პირველი ადგილი.

აი როგორ განაწილდა საპრიზო ადგილები წონითი კატეგორიის მიხედვით:

48 კილოგრამამდე წონის მოჭიდავეთა შორის — 1. ე. ჯავადი (ირანი), 2. ა. უმედა (იაპონია), 3. რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი);

52 კილოგრამამდე — 1. ა. რიზა (თურქეთი), 2. ბ. ბაევი (ბულგარეთი), 3. მ. გჰრბანი (ირანი);

57 კილოგრამამდე — 1. ჰ. იანაგიდა (იაპონია), 2. ჯი ვუნ ანი (სამხრეთი კორეა), 3. ი. პატრიკოვი (ბულგარეთი);

62 კილოგრამამდე — 1. შ. ხიადაბასი (ირანი), 2. კ. აბე (იაპონია), 3. მ. იანგი (ამერიკის შეერთებული შტატები);

68 კილოგრამამდე — 1. ა. მოვახედი (ირანი), 2. ი. ჰუსეინოვი (ბულგარეთი), 3. ბ. დუგლასი (ამერიკის შეერთებული შტატები);

74 კილოგრამამდე — 1. ვ. უელსი (ამერიკის შეერთებული შტატები), 2. მ. ფარჰანდუსტი (ირანი), 3. დ. სერეტერი (მონღოლეთი);

82 კილოგრამამდე — 1. ი. შახმურადოვი (სსრ კავშირი), 2. ტ. სასაკი (იაპონია), 3. ვ. იორგა (რუმინეთი);

90 კილოგრამამდე — 1. გ. სტრახოვი (სსრ კავშირი), 2. ბ. ჰარლოუ (ამერიკის შეერთებული შტატები), 3. ნ. კანადა (იაპონია);

100 კილოგრამამდე — 1. გ. გულიუტკინი (სსრ კავშირი), 2. ლ. კრისტოფი (ამერიკის შეერთებული შტატები), 3. გ. იილმაზი (თურქეთი);

100 კილოგრამზე ზევით — 1. ა. მედვედი (სსრ კავშირი), 2. ო. დურალიევი (ბულგარეთი), 3. პ. გერმერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

◆ მინსკში [illegible] და საქართველოს [illegible] ბელორუსიის მძლ[illegible]თა გუნდების მატჩ[illegible] [illegible]რმატება მასპინძ[illegible] ხვდათ ანგარიშით [illegible] ამ გუნდების მორი[illegible] [illegible]ხვედრა თბილისში [illegible] მართება.

◆ 19 წლის [illegible]გრადელმა სტუდ[illegible] ანატოლი კარპოვმა [illegible] [illegible]მელიც მონაწილ[illegible] კარაკასის საერთაშორისო მოიპოვა [illegible] საჭადრაკო ტურნირში, დმიტროვმა, ქალთა [illegible] [illegible]ლორბოლის საკავ[illegible] ჩემპიონატზე ჯგუ[illegible] [illegible]ბოლაში 183 კი[illegible] [illegible]რზე ჩემპიონობა [illegible] მინსკელმა ნ. [illegible]ოვმა, ქალთა ჯგუ[illegible]

[illegible]ლის მონაწილეებს. წარმატება საბჭოთა სპორტსმენებს ხვდათ. თვითეულმა მათგანმა გაიარა 6.845 კილომეტრი.

## სპორტული პანორამა

[illegible]მეტმაც 200 მეტრი ბატერფლაის სტილით გაცურა 2 წუთსა და 20,6 წამში და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

[illegible]ვიზიის კომიტეტი გარდაქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად.

# ცნობათა ფურცელი

## ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

### აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1970-71 სასწავლო წლისათვის დღის სწავლების განყოფილებებზე:

მიღება იწარმოებს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:

1. ფილოლოგიის ფაკულტეტი — სპეციალობები: ა) რუსული ენა, ლიტერატურა და უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული); ბ) ქართული ენა, ლიტერატურა და უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული).

2. ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი — სპეციალობები: ა) ქართული ენა და ლიტერატურა; ბ) ისტორია.

3. ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი — სპეციალობები: ა) მათემატიკა; ბ) ფიზიკა.

4. ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტი — სპეციალობები: ა) ბიოლოგია-ქიმია; ბ) გეოგრაფია-ბიოლოგია; გ) ფიზიკური აღზრდა.

5. პედაგოგიური ფაკულტეტი (სპეციალობა იგივე).

ინსტიტუტში დღის სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან 35 წლამდე ასაკის სსრ კავშირის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ სრული საშუალო განათლება.

შემსვლელნი არჩეული სპეციალობის შესაბამისად გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული ენის, ლიტერატურის და უცხო ენების სპეციალობებზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა*, ზეპირი*); სსრკ ისტორია (წერა*); უცხო ენა (ზეპირი*).

2. ისტორიის სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა*, ზეპირი*); სსრკ ისტორია (წერა*); უცხო ენა (ზეპირი).

3. რუსული ენის, ლიტერატურის და უცხო ენის სპეციალობაზე: რუსული ენა და ლიტერატურა (წერა*, ზეპირი*); სსრკ ისტორია (წერა*); უცხო ენა (ზეპირი*).

4. პედაგოგიურ სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა*, ზეპირი*); სსრკ ისტორია (წერა*), მათემატიკა (ზეპირი*).

5. მათემატიკის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა*, ზეპირი*); ფიზიკა (წერა*); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

6. ფიზიკის სპეციალობაზე: მათემატიკა (წერა*, ზეპირი*); ფიზიკა (წერა*); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

7. გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობაზე: გეოგრაფია (ზეპირი*); ქიმია (წერა*); ბიოლოგია (წერა*); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

8. ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობაზე: ქიმია (წერა*); ფიზიკა (წერა*); ბიოლოგია (წერა*); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

9. ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე: ფიზიკური მომზადება*; ქიმია (ზეპირი*); ფიზიკა (ზეპირი*); ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

რექტორი ან მისი დავალებით პრორექტორები, ფაკულტეტის დეკანები, მიმღები კომისიის წევრები გაესაუბრებიან თვითეულ აბიტურიენტს. გასაუბრების დროს შემოწმდება, რამდენად შეესაბამება აბიტურიენტის საერთო მომზადება მის მიერ არჩეულ სპეციალობას.

შენიშვნა: 1. ვარსკვლავით ყველგან აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები. 2. ოქროს (ვერცხლის) მედლით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი, რომლებმაც მიიღეს წარჩინების დიპლომი, აბარებენ გამოცდას ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში. სახელდობრ: ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული ენის, ლიტერატურისა და უცხო ენის და პედაგოგიურ სპეციალობებზე—ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), რუსული ენის, ლიტერატურისა და უცხო ენის სპეციალობებზე — რუსული ენა და ლიტერატურა (წერა, ზეპირი); ისტორიის სპეციალობაზე — სსრკ ისტორია, მათემატიკის სპეციალობაზე — მათემატიკა — (წერა და ზეპირი), ფიზიკის სპეციალობაზე — ფიზიკა, ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობაზე — ბიოლოგია, გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობაზე — გეოგრაფია (ზეპირი), ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე — ქიმია (ზეპირი).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორის სახელზე ფაკულტეტის, სპეციალობის ზუსტი აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: დოკუმენტი საშუალო განათლების შესახებ (დედანი); საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ; 2. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 3. ხუთი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3X4 სმ, დამოწმებული); 4. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი საწარმოდაწესებულების ხელმძღვანელის, პარტბიუროს ან კომკავშირის კომიტეტის და ადგილკომის თავმჯდომარის მიერ, კოლმეურნეთათვის — ხელმოწერილი კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მიერ. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებულნი წარმოადგენენ სკოლის პედსაბჭოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გაცემულ დახასიათებას; საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი — სათანადო სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობის მიერ გაცემულ დახასიათებას; 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ამონაწერში აღნიშნული უნდა იყოს გამომუშავება და ამ კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლისათვის.

პასპორტისა და სამხედრო ბილეთის (ან მიწერის მოწმობას) შემომსვლელნი წარმოადგენენ პირადად.

განცხადება მიიღება ა. წ. 30 ივლისამდე (ჩათვლით) ყოველდღე გარდა კვირადღეებისა 10-დან 16 საათამდე.

მისაღები გამოცდები 8 აგვისტოდან. კონსულტაციები საგამოცდო საგნებში მოეწყობა 20-დან 30 ივლისამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღებ კომისიაში.

მისამართი: კიროვის ქ. № 55, (ტელ. № 5-26-28).

## საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი

### 1970-71 სასწავლო წლისათვის აწარმოებს მოსწავლეთა მიღებას საბიბლიოთეკო და წიგნთ საქონელმცოდნეობის განყოფილებაზე (სწავლა ქართულ ენაზეა)

სასწავლებლის ორივე განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სასწავლებელი კურსდამთავრებულებს აძლევს ბიბლიოთეკარისა და წიგნთ საქონელმცოდნის საშუალო კვალიფიკაციას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას.

გამოცდებზე დაშვებული მოქალაქენი აბარებენ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში:

საბიბლიოთეკო და წიგნთ საქონელმცოდნეობის განყოფილებაზე: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში წერა (თხზულება), 2. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

განცხადებები შემოტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით, შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286, 4. ოთხი ცალი ფოტოსურათი (ზომა 3X4-ზე), 5. ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან.

ის პირები, რომელთაც აქვთ სულ მცირე ორი წლის მუშაობის სტაჟი, წარმოადგენენ საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ დამოწმებულ ამონაწერს შრომის წიგნაკიდან, ხოლო კოლმეურნეები — გამგეობის მიერ დამოწმებულ ამონაწერს საკოლმეურნეო წიგნაკიდან.

სასწავლებელში შემსვლელნი პირადად წარმოადგენენ: დაბადების მოწმობას, პასპორტს ან სამხედრო ბილეთს.

სასწავლებელში ჩარიცხვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ: 1. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები. 2. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, თუ მათ სამხედრო სამსახურში დაჰყვეს არანაკლებ ორი წლისა. 3. ის პირები, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებები მიიღება 10 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები 11 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირადღისა, 3-დან 8 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. № 9, ტელეფონი: 99-82-10

## სსრკ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი

## თბილისის ინდუსტრიულ-პედაგოგიური ტექნიკუმი

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-1971 სასწავლო წლისათვის დღის განყოფილების პირველ კურსზე

მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე: 1. ლითონების ჭრით დამუშავება (ქართული სექტორი), 2. სამრეწველო მოწყობილობათა მონტაჟი და რემონტი (ქართული სექტორი), 3. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (ქართული სექტორი), 4. რადიოაპარატმშენებლობა (რუსული სექტორი).

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის 8 კლასი და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი და ტექნიკუმის შესაბამისი პროფილის სპეციალობაზე აქვთ საწარმოო სტაჟი არანაკლებ ერთი წლისა, აგრეთვე ისინი, ვინც 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (საწარმოო სტაჟის გარეშე), მუშა ახალგაზრდები, რომელთაც არ დაუმთავრებიათ პროფტექნიკური სასწავლებელი და აქვთ შესაბამისი სპეციალობა, კვალიფიკაცია და საწარმოო სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან: ლითონებით ჭრის დამუშავების სპეციალობაზე — ხარატები, მღარავები, მხეხავები და კბილმჭრელები კვალიფიკაციით არანაკლებ მესამე თანრიგისა;

სამრეწველო მოწყობილობის მონტაჟისა და რემონტის სპეციალობაზე — სამრეწველო მოწყობილობის შემკეთებელი ზეინკლები კვალიფიკაციით არანაკლებ მესამე თანრიგისა;

სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობაზე — კალატოზები, კონსტრუქციის მემონტაჟე კალატოზები, შემლესავ-მღებავები კვალიფიკაციით არანაკლებ მესამე თანრიგისა;

რადიოაპარატმშენებლობის სპეციალობაზე — რადიოაპარატურის მემონტაჟეები, რადიოაპარატების ამწყობი ზეინკლები და რადიოაპარატურის დამრეგულირებლები არანაკლებ მესამე თანრიგისა.

ტექნიკუმში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ: 1. საკვალიფიკაციო სინჯს (შესაბამის სპეციალობაში), 2. ქართულ ენაში (წერა), ხოლო რუსულ სექტორზე რუსულ ენაში (კარნახი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

ტექნიკუმში შემსვლელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: 1. განცხადება დირექტორის სახელზე, 2. მოწმობა განათლების შესახებ (დედანი) ან საშუალო სკოლის მე-9-10 კლასში გადაყვანის მოწმობა, 3. ავტობიოგრაფია, 4. ატესტატი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შესახებ, 5. საწარმოო დახასიათება, 6. სამი ფოტოსურათი ზომით 3X4 (გადაღებული უქუდოდ), 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 8. შრომის წიგნაკი (ვისაც აქვს მუშაობის სტაჟი), 9. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, 10. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (ადგენს პირადად ტექნიკუმში გამოცხადების დროს). 11. დაბადების მოწმობა (ადგენს პირადად ტექნიკუმში გამოცხადების დროს).

საბუთების მიღება იწარმოებს 31 ივლისამდე, ხოლო მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით და სტიპენდიით. სწავლა დაიწყება ა. წ. 1 სექტემბერს.

ტექნიკუმის მისამართია: თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 49, ტელეფონი 95-15-51, 95-89-52.

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

### აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1970-1971 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით:

დასწრებული განყოფილება სსრკ ხალხთა ისტორია (საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განხრით) — 1. არქეოლოგია — 1.

დაუსწრებელი განყოფილება საქართველოს ეთნოგრაფია — 1. კავკასიის ეთნოგრაფია — 1. ანთროპოლოგია — 1.

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები დაიწყება 1 სექტემბერს.

ყველა ცნობის მიღება ასპირანტურაში შესვლის წესების შესახებ შეიძლება ინსტიტუტში: ძერჟინსკის ქ. № 8, ტელ. 99-06-82.

## ცეკავშირის ქუთაისის კოოპერაციული ტექნიკუმი

### აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1970-1971 სასწავლო წლისათვის დასწრებული და დაუსწრებელი განყოფილებების საქონელმცოდნეობის, ვაჭრობის ეკონომიკა-დაგეგმვის და საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალობებზე:

ტექნიკუმი ამზადებს სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეებს, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეებს, მგეგმავ-ეკონომისტებს და ბუღალტრებს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის.

ტექნიკუმის დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან არასრული საშუალო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

დაუსწრებელ განყოფილებაზე მიიღებიან არასრული საშუალო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი განუსაზღვრელად ასაკისა, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს.

ორივე განყოფილების პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის (შვიდწლედი ან რვაწლედი) კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით.

I. ქართულ ენაში (კარნახი),

II. მათემატიკაში (ზეპირი).

დასწრებული განყოფილების მეორე კურსზე და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობისა და ვაჭრობის ორგანიზაციის, სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობისა და ვაჭრობის ორგანიზაციის სპეციალობებზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით.

I. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება),

II. ქიმიაში (ზეპირი).

დასწრებული განყოფილების მეორე კურსზე და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე, ბუღალტრული აღრიცხვის და ვაჭრობის ეკონომიკა-დაგეგმვის სპეციალობებზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით.

I ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება).

II. მათემატიკაში (ზეპირი).

მისაღებ გამოცდებზე დადებითი ნიშნის მიღებისას კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან: ის პირნი, რომლებიც ტექნიკუმში მოვლინებული იქნებიან სამომხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ არანაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟის მქონენი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან: ა) აბიტურიენტები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლა დამთავრებული აქვთ ქების სიგელით (ფრიადოსნები) ან საშუალო სკოლა მედლით, ბ) სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების ოფიცრები, ზემსახურები, რომლებიც დათხოვნილი არიან სამსახურიდან ჯანმრთელობის მდგომარეობის, ასაკის ან დემობილიზაციის გამო (დემობილიზაციიდან ორი წლის განმავლობაში).

განცხადებების მიღება ტექნიკუმში წარმოებს ა. წ. 1 ივლისიდან 31 ივლისამდე, მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე. განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე არჩეული სპეციალობის აღნიშვნით.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფ. № 286), 4. სამი ფოტოსურათი (3X4) დამოწმებული, 5. სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ მოვლინების ფურცელი დასწრებულთათვის (დანართი № 1), ხოლო დაუსწრებელთათვის (დანართი № 2), 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული ორგანიზაციის ან საწარმოს ხელმძღვანელის მიერ (დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის), 7. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

დასწრებულ განყოფილებაზე შემსვლელები, რომლებსაც აქვთ არანაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟი, ვალდებულნი არიან განცხადების შემოტანისას წარმოადგინონ შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნენი — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. ჩარიცხვის შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებისას უნდა წარმოადგინონ მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი დედანი.

ტექნიკუმში საბუთების შემოტანისას აბიტურიენტები პირადად წარმოადგენენ დაბადების მოწმობას ან პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მისაწერ მოწმობას.

დასწრებულ განყოფილებაზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და ბინის ქირით საერთო წესის თანახმად.

სწავლის ხანგრძლივობა დასწრებული განყოფილების პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის სამი წელი, დაუსწრებელი განყოფილების პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის ოთხი წელი. დასწრებული განყოფილების მეორესა და დაუსწრებელი განყოფილების მესამე კურსზე ჩარიცხულთათვის ორი წელი.

მეცადინეობა დაიწყება პირველ სექტემბერს.

ტექნიკუმის მისამართი: ქუთაისი, გორის ქ. № 140, ტელეფონი 5-44-49.

## რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

### ტელევიზია

14 ივლისი

11.05 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — უნგრული მხატვრული ფილმი — ჯოჯოხეთური ნავსაყუდელი", 12.40 — ექიმის საუბარი (სტუდიაში პროფესორი გ. ხუნდაძე), 17.50 — ახალი ამბები, 17.55 — განცხადებები, 18.00 — გადაცემა ბავშვებისათვის — „სამყაროს შვიდი საოცრება", 18.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „შვიდი ნაბიჯი ჰორიზონტს იქით", 19.40 — „მომარაგების გაუმჯობესებისათვის", 20.00 — ბავშვთა მუსიკალური აღზრდის საერთაშორისო მე-9 კონფერენციის დახურვის ტრანსლაცია კრემლის ყრილობათა სასახლიდან. შესვენების დროს — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, ხამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის —93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის—93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 03327 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.